

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორია

ღიასამიძე მალვინა

სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი

ბიჭაური

2019

ანოტაცია

ქართველ და სომეხ ერებს თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ხანგრძლივი დროის მანძილზე მათ შორის ყოველთვის აქტიური, თუმცა არაერთგვაროვანი ურთიერთობები არსებობდა. ამ ურთიერთობების ღრმად, საფუძვლიანად შესწავლა, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს, სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გავაშუქოთ სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომის გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა და საბოლოო შედეგები.

აღნიშნული ომის წინაპირობები არ გაჩენილა ერთბაშად, ისინი თანდათან მომწიფდნენ ათწლეულების მანძილზე. არსებული ვითარების უკეთ გააზრების მიზნით, ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში სომეხთა გარკვეული წრეების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ დაკავებული ანტისახელმწიფოებრივი პოზიციის მიზეზებისა და შედეგების გაშუქებას. განხილულია, აგრეთვე, სომეხების მხრიდან საქართველოს ტერიტორიების მიზანმიმართული კოლონიზაციის საკითხი და მათი შორს მიმავალი გეგმები.

Annotation

Georgian and Armenian nations have a centuries-long history of coexistence. For a long time there were always active, though not well adjusted relationships between them. An extensive study of these relationships is one of the main priorities of Georgian historiography.

The main purpose of this Master thesis is, on the basis of an objective analysis and juxtapose of scientific literature and historical sources, to reveal the causes and outcomes of the Armenian-Georgian War of 1918-1919.

The preconditions of the war did not appear at once; they had been gradually evolved for decades. In order to better understand the mentioned historical process the thesis has a proper study of the causes and results of the anti-state position taken by some Armenians in the last third part of the XVIIIth century towards the Kingdom of Kertl-Kakheti. The issue of deliberate occupation of Georgian territories by Armenians and their far-reaching plans are discussed as well.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I – წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა	
§.1. წყაროები	9
§.2. ისტორიოგრაფია	11
თავი II – სომეხთა დემოგრაფიული ექსპანსია საქართველოში	
§.1. სომეხთა როლი ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის საქმეში	14
§.2. სომეხთა ჩამოსახლება ქვემო ქართლში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში	25
§.3. სომეხთა ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთში რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ	33
თავი III – ქართული მიწები „დიდი სომხეთის“ ფარგლებში – სომეხთა საუკუნოვანი ოცნების რეალიზების ცდა 1918-1919 წლებში	
§.1. დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში	37
§.2. სომხური პოლიტიკური წრეების აგრესიული გეგმები ქართულ მიწებთან დაკავშირებით	50
§.3. სომხეთ-საქართველოს ომი – დასაწყისი, მსვლელობა და შედეგები ...	56
დასკვნები	67
გამოყენებული ლიტერატურა	70

შესავალი

საქართველო-სომხეთის ურთიერთობას ხანგძლივი ისტორია აქვს, რომელიც ნამდვილად არ ყოფილა ერთგვაროვანი. კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ხშირად სისხლიანი დაპირისპირებები ცვლიდა და პირიქით. ქართველი და სომეხი მეფეები ხშირად ეცილებოდნენ ერთმანეთს ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოპოვებას.

ორივე ერი – ქართველებიცა და სომხებიც – დიდი, მაგრამ მძიმე წარსულის მქონე ერია. დიდი იმპერიების ინტერესთა შეჯახების არეალში მყოფ ორივე ერს საუკუნეების მანძილზე ერთნაირად უხდებოდა დაძაბული ბრძოლების გადატანა საკუთარი თვითმყოფადობის გადასარჩენად. სომხები უფრო მალე დაასუსტა სისხლისმღვრელმა ომებმა, მათ ვეღარ გაუძლეს ძლიერი მტრების მონოლას და XI საუკუნეში დამოუკიდებლობა დაკარგეს. ქართველები ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას.

ასეთმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო ბევრჯერ გამხდარა მეზობელი სომეხი ერის გადარჩენის ერთადერთი გარანტი. მაჰმადიანური სახელმწიფოების მიერ დარბეულ სომხურ მოსახლეობას ბევრჯერ შემოუფარებია თავი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში და მუდმივ საცხოვრებელადაც დარჩენილა აქ. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა მიზეზების გამო, სომეხთა გარკვეულ წრეებს ხშირად უთამაშიათ უარყოფითი როლი საქართველოს ცხოვრებაში და მტრის წისქვილზე დაუსხამს წყალი.

XVIII საუკუნის ბოლომდე ქართველი მეფე-მთავრები მაინც ახერხებდნენ და თავისი ინტერესების შესაბამისად არეგულირებდნენ საქართველოში შემოხიზნული, მტრისაგან შევიწროებული სომხების შემოსვლა-დასახლებას პროცესს.

XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ვითარება თანდათან შეიცვალა. სომეხთა კათოლიკოს სიმეონ ერევანცის თაოსნობით გაძლიერდა რუსეთის დახმარებით ამიერკავკასიაში სომხური სახელმწიფოს აღდგენის იდეა, რასაც ფინანსურად ძლიერი სომხური დიასპორებიც უჭერდნენ მხარს. სომეხთა გარკვეული წრეები მზად

იყვნენ, ეს იდეა თუნდაც ქართული მიწებისა და სუვერენიტეტის ხარჯზე განხორციელებულიყო, ამიტომ, ფარული გზებით, მათ ყველაფერი გააკეთეს ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება-დაცემისათვის.

მალე ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერია გაბატონდა. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რუსეთის ხელისუფლებას სომხები აპოლიტიკურ და თავისი ინტერესებისათვის უვნებელ ხალხად მიაჩნდა, ამიტომ ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში მათ დასახლება-თავმოყრას. ასეთი ტენდენციის გამო ოსმალეთიდან და ირანიდან სომხები ამიერკავკასიისაკენ დაიძრნენ. მათთვის ხელსაყრელი ვითარების გამო მოახერხეს ქართული ისტორიული მიწების ეთნიკური და ეკონომიკური ათვისება და კიდევ უფრო გაუძლიერდათ მათი მითვისების სურვილი. დაიწყო ქართველთა ისტორიის გაყალბება და აღნიშნული სურვილის განხორციელებისათვის ნიადაგის მომზადება.

1917 წლის რევოლუციების შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა და ამიერკავკასიაში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიშვა. სომხეთი შეეცადა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაჩენილი სომხური მოსახლეობის ფაქტორი გამოეყენებინა და ეს კუთხეები მისთვის ჩამოეცილებინა. ამ მიზნით, 1918 წლის დეკემბერში, ომის გამოუცხადებლად, რომ იტყვიან მუხანათურად, სომხეთის ჯარები საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა.

საქართველომ შესძლო, საკადრისი პასუხი გაეცა მომხდურისათვის, მაგრამ, გარე ძალების (ინგლისი) ჩარევის გამო, აღარ მოხერხდა ბოლომდე მიყვანილიყო საქმე და ქართული მიწის ნაწილს, აქ სომხური მოსახლეობის დომინირების გამო, კვლავ სადაო ტერიტორიის სტატუსი შერჩა.

ყოველივე ზემოთ თქმული ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებით ურთიერთობების დარეგულირება ჩვენს მეზობლებთან და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რა დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს დემოგრაფიული საკითხების სწორად მოგვარების საქმეს.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემა რამდენიმე მიზეზის გამოა აქტუალური. ჯერ ერთი, წარსულის ნებისმიერი მონაკვეთი საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რადგან ყოველმა ერმა თავისი ისტორია კარგად უნდა იცოდეს. მეორეც, სომხებსა და ქართველებს, ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე, საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანი ურთიერთობები გააჩნიათ, რაც კარგად შესასწავლია და გასათვალისწინებელი.

მიუხედავად იმისა, რომ სომხების ბედი არაერთხელ ყოფილა დამოკიდებული ქართველთა მხრიდან განვდილ დახმარების ხელზე, მათ მაინც ბევრჯერ უთამაშიათ უარყოფითი როლი ჩვენი ერის ცხოვრებაში. ამის საჩვენებლად, შორს რომ არ წავიდეთ წარსულის სიღრმეში, უახლესი ისტორიიდან აფხაზეთის ომის მაგალითიც კმარა, სადაც სომხური სამხედრო დაჯგუფებები, როგორც სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წწ.-ის ომში, იარაღით ხელში განსაკუთრებული სისასტიკით იბრძოდნენ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ეს ხალხი თავისი ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრას, ძალიან ხშირად, საქართველოსა და ქართველების ხარჯზე ცდილობს. საგრძნობი ზიანიც არაერთხელ მოუყენებიათ ჩვენთვის.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობების შესწავლა მის ყველა ეტაპზე, დღესაც აქტუალურია და ფრიალ საჭიროც, რათა კარგად ვერკვეოდეთ ჩვენი მეზობლების მიზნებში და მზად ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობებისათვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გავაშუქოთ სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომის გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა და საბოლოო შედეგები.

ფაქტობრივად, აღნიშნული ომი იყო ლოგიკური ნაყოფი ათწლეულების მანძილზე სომეხთა გარკვეული წრეების მიერ შეგნებულად, გამიზნულად განხორციელებული ანტიქართული საქმიანობისა, რომელიც მიმართული იყო

ამიერკავკასიაში ქართული მინა-წყლის ხარჯზე სომხური სახელმწიფოს აღდგენა-გაფართოებისაკენ.

აქვე შევხებით XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სომეხთა აღნიშნული წრეების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ დაკავებული ანტისახელმწიფოებრივი პოზიციის მიზმებსა და შედეგებს. გავაშუქებთ, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიების მიზანმიმართული კოლონიზაციის საკითხს სომეხების მხრიდან და მათ შორს მიმავალ გეგმებს.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის და ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკების, აგრეთვე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, სხვა ინტერნეტ-რესურსი.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – „სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი“ – შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან, თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. სულ ნაშრომი მოიცავს შესაბამისი სტანდარტებით ნაბეჭდ 74 კომპიუტერულ გვერდს.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

§. 1. წყაროები

ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის შესწავლისას, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი ნარატიული და დოკუმენტური წყაროების სწორ, მეცნიერულ გამოყენებას, რის გარეშეც შეუძლებელია ეპოქის რეალური სურათის აღდგენა.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ წყაროები, რომელთა შორის აღსანიშნავია ალექსანდრე ჯამბაკურ–ორბელიანის წერილები, სადაც იგი ნიღაბს ხდის სომეხთა სასულიერო პირების – სიმეონ ერევანცისა და იოსებ არლუთიანცის (XVIII ს.–ის II ნახ.) ირგვლივ დაჯგუფებულ სომეხ პოლიტიკანებს, რომლებიც ძალ–ღონეს არ ზოგავდნენ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიების ხარჯზე აღედგინათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ამ მოძრაობამ შემდეგში სულ უფრო და უფრო მეტი გაქანება შეიძინა. შეიძლება ითქვას, რომ სომხეთ–საქართველოს 1918–1919 წლების ომისათვის სწორედ ამ დროიდან მომზადდა ნიადაგი.

აღ. ჯამბაკურ–ორბელიანი ერეკლე მეფის შვილიშვილი იყო (თეკლა ბატონიშვილის ვაჟი). იგი აბსოლუტურად სანდო ავტორია, ინფორმაციებს უშუალოდ თვითმხილველებისაგან იღებდა, კარგად ერკვეოდა მოვლენების არსში და პირუთვნელად ამბობდა სიმართლეს.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ გამოვყოთ ილია ჭავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ (თბილისი, 1994), რომელიც პირველად 1899 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ გაგრძელებებით და იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად. მასში ილია მართალი იმდროინდელ საზოგადოებაში არსებულ სომეხთა გარკვეული წრეების სულისკვეთებასა და ანტიქართულ გეგმებს ააშკარავებს. ჭავჭავაძე ნათლად წარმოგვიჩინს სომეხების აღნიშნული წრეების მოქმედებებს, რომელთა მიზანი იყო (და დღესაც არის) საქართველოს მიწების ეთნო–კულტურული და ეკონომიკური ათვისება და აქ სომხეთის გადმოტანა. ეროვნული ინტერესები აიძულებდა ილიას,

ისტორიკოსის ფუნქციები ეკისრა: მათიანებს უღრმავდებოდა, იძიებდა, იკვლევდა და საქართველოს ღირსების შემლახველებს, ისტორიის ფალსიფიკატორებს ღირსეულ პასუხს სცემდა.

უაღრესად ფასეულია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროინდელი მოღვაწის გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი 1917-1925“ (ტფილისი, 1927). წიგნი მეტად საინტერესოა და ღირსია ყურადღებით წაკითხვისა, რადგან მაზნიაშვილი სწორედ ჩვენს ნაშრომში განხილული საქართველო-სომხეთის ომის მონაწილეა და მის ნაამბობს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნია. მაზნიაშვილი თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მაშინვე შეუდგა ქართული ჯარის აღმშენებლობის საქმეს. იგი იყო ძალიან ნიჭიერი და დაუმარცხებელი გენერალი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში.

საკვლევი პერიოდისა და თემის ირგვლივ სხვა და სხვა საკითხებზე მნიშვნელოვანი და მრავალგვარი მასალა მოვიძიეთ იმდროინდელ პერიოდულ პრესაში.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობები და 1918-1919 წლის ომთან დაკავშირებული მოვლენები მეტ-ნაკლები სისრულით ასახულია გაზეთებში: „საქართველო“, „სახალხო საქმე“ და „საქართველოს რესპუბლიკა“.

განსაკუთრებით საინტერესოა და სრულყოფილი ცნობები მოვიპოვეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომრებში, რომელიც სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო იყო და კომპეტენციით ეკუთვნოდა საბრძოლო მოქმედებების გაშუქებას.

§. 2. ისტორიოგრაფია

ქართველი და სომეხი ერების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლა მის სხვადასხვა ეტაპზე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი აქტიური მიმართულებაა. ამ მხრივ არც სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომია გამონაკლისი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი, საბჭოთა იდეოლოგიისა და ინტერნაციონალიზმის ზეგავლენით, ათწლეულების მანძილზე ჩრდილში იყო მოქცეული და მისი სიღრმისეული შესწავლა უკანასკნელ ხანებში დაიწყო. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

საქართველო-სომხეთის ომთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელ და საინტერესო მასალას წარმოადგენს არჩილ ჩაჩხიანის ნაშრომი „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი“ (თბილისი, 2007). მასში სრულყოფილადაა გადმოცემული დაშნაკური სომხეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების წინააღმდეგ ომის დაწყება და მსვლელობა, გაანალიზებულია მისი სამხედრო-პოლიტიკური შედეგები. მალალ პროფესიულ დონეზეა გაშუქებული სამხედრო ხელოვნების, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები.

საკმაოდ სრულყოფილად და საფუძვლიანადაა განხილული სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური დაპირისპირების საკითხები შოთა ვადაჭკორიას ნაშრომში „საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1918-1920)“ (თბილისი, 2008). ავტორს ძირითად წყაროდ გამოყენებული აქვს იმდროინდელი ოფიციალური პერიოდიკის მასალები.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ოთარ ჯანელიძის ნაშრომი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 2018). ნაშრომი მთლიანობაში მკითხველს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს, გაეცნოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომზე მუშაობისას ხელში ჩაგვივარდა სომეხი ავტორის გეგამ პეტროსიანის ერევანში რუსულ ენაზე გამოცემული მონოგრაფია „Отношения Республики Армения с Россией (1918-1920 гг.)“ (Издательство ЕГУ, Ереван, 2012). ავტორი, როგორც ეს დამახასიათებელია ბევრი სომეხი მეცნიერისათვის, მრუდე სარკეში წარმოაჩენს რეალობას და ომის დაწყებას ქართულ მხარეს აბრალებს, ხოლო სომეხებს ქართველთა აგრესიისაგან სამშობლოს დამცველებად ხატავს (Петросян, 2012:155-156). არადა ცნობილი ფაქტია, რომ სომხეთის მთავრობა ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს და ქართულმა პარლამენტმა, რომელიც მანამდე ყველაფერს მხოლოდ სასაზღვრო გაუგებრობად თვლიდა, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეათვასა ეს მოქმედება ომის დაწყებად და გამოაცხადა სამხედრო მობილიზაცია.

ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სომეხთა საქართველოში ჩამოსახლება, შეეხო არაერთი ქართველი ისტორიკოსი, რომელთა შრომებმაც სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გარკვეული დახმარება გაგვიწიეს. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის შრომები: 1. „საქართველოს საზღვრები“ (თბილისი, 1919) და 2. „დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში“ (თბილისი, 1998). შინარსის მიხედვით ივ. ჯავახიშვილის შრომები ეძღვნება რუსეთის მიერ დაპყრობამდე და დაპყრობის შემდგომდროინდელ პროცესებსა და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლას. დემოგრაფიული პროცესებიდან მთავარი ყურადღება გადატანილია საქართველოში სომეხების მიზანმიმართულ ჩამოსახლებაზე.

სომეხთა ჩამოსახლების თემას აქტიურად ეხება შოთა ლომსაძის ნაშრომიც „სამცხე-ჯავახეთი“ (თბილისი, 1975). ავტორი ყურადღებას ძირითადად ამახვილებს რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ, ოსმალთათვის წართმეულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ქართველი მუსლიმების იძულებით გასახლებისა და მათ ნაცვლად ოსმალეთიდან გადმოყვანილი სომეხების დამკვიდრების საკითხებზე. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული სომეხი სამხედრო და სასულიერო პირები.

ქართველი და სომეხი ხალხის ისტორიულ ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი შრომა აქვს გურამ მაისურაძეს „ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII–XVIII სს–ში“ (თბილისი, 1982);

რუსული მმართველობის დამყარებისა და სამცხე–ჯავახეთში მუჰაჯირობის პროცესი კარგად არის გადმოცემული ჯუმბერ ვარდმანიძეს ნაშრომში „მუჰაჯირობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში“ (ბათუმი, 2013). ავტორს საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული სამცხე–ჯავახეთში ქართული მოსახლეობის სომხურით ჩანაცვლების საკითხი. ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე, ვალერი მოდებაძის შრომა „მესხური პრობლემის ანალიზი“ (თბილისი, 2010).

გარდა აღნიშნულისა, ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ, აგრეთვე, სხვა ავტორთა ნაშრომებიც, რომელთა მონაცემებიც მნიშვნელოვანი იყო ცალკეული საკითხის გასაშუქებლად. მაგ.: ზურა ავალიშვილი („საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, თბილისი, 1940); ჯუმბერ ვარდმანიძე („მუჰაჯირობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში“, ბათუმი, 2013); ვახტანგ ჯაოშვილი („საქართველოს მოსახლეობა XVIII– XX საუკუნეებში“, თბილისი, 1984); ვალერი მოდებაძე („მესხური პრობლემების ანალიზი, – მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაცია და რეინტეგრაციის პრობლემები“, თბილისი, 2010); ნიკოლოზ სეფიაშვილი („საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევა“, თბილისი, 2018); ალექსანდრე აბდალაძე („საქართველო და სომხეთი“, თბილისი, 2008) და სხვათა შრომები.

ვისარგებლეთ მრავალფეროვანი ინტერნეტ–მასალებითაც.

ასეთია ის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული საფუძველი, რომელმაც ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში

თავი II – სომეხთა დემოგრაფიული ექსპანსია საქართველოში

§.1. სომეხთა როლი ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის საქმეში

1747 წელს შეთქმულებმა ხორასანში ირანის უკანასკნელი დიდი მბრძანებელი – ნადირ-შაჰი მოკლეს. ირანი ანარქიამ მოიცვა. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ პრაქტიკულად უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთისათვის ხელსაყრელი დრო დადგა დამოუკიდებელი პოლიტიკის საწარმოებლად. მამა-შვილი აქტიურად ჩაება ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის გამართულ ბრძოლაში და 40-50-იან წლებში მათ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის ჰეგემონობა შენარჩუნებული იყო 1760-70-იან წლებშიც, როცა ამ სამეფოს ერთპიროვნული მმართველობის სადავეები ერეკლე მეფის ხელში იყო მოქცეული. წარმატებით მიმდინარეობდა ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესი, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ერთი მხრივ ირანსა და ოსმალეთში გაბატონებული ყოვლისმომცველი სახელმწიფოებრივი კრიზისი, მეორე მხრივ კი მზარდი რუსეთის ჯერ კიდევ არამყარი პოზიციები კავკასიაში (ჯიბაშვილი, 2010:44-64).

მოცემული პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველო ეკონომიკურადაც მოძლიერებული იყო და პოლიტიკურადაც. „ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავალი XVIII საუკუნის 80-იან წლებში წინა ათწლეულებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა. ამ დროს ის უკვე 400-ათას მანეთს უდრიდა” – გვამცნობს ნ. ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი, 1973: 444). რაც შეეხება პოლიტიკურ მდგომარეობას, ამაზე კარგ წარმოდგენას გვიქმნის ის ფაქტი, რომ 80-იანი წლების დასაწყისისათვის ერეკლეს ირანის ტახტზე თავისი კანდიდატის აყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი. სამწუხაროდ, შერჩეული კანდიდატის არამეფური წარმომავლობის გამომჟღავნების გამო ეს გეგმა ჩაიშალა, მაგრამ, ამის მიუხედავად, “ქართლ-კახეთის მეფის გავლენა კავკასია-აზერბაიჯანის სახანოებში მეტად დიდი რჩებოდა და “ნადირშას გაზრდილი”

ერეკლეს აქტიურ ჩარევას ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში დარწმუნებით ელოდნენ” (ბერძენიშვილი, 1973: 451).

რაც შეეხება რუსეთის გაძლიერებით დაშინებულ ოსმალეთს, იგი მზად იყო პრორუსულ ორიენტაციაზე ხელის აღების საფასურად ერეკლესათვის დასავლეთ საქართველოც დაეთმო (სამსონაძე, 1988: 209) და ამიერკავკასიაში ჰეგემონობის შენარჩუნებაშიც დახმარებოდა (ჭეიშვილი, 1982: 7). რა თქმა უნდა, ოსმალეთი გულწრფელი არ იყო და ამ ნაბიჯს იტყულებით დგამდა. მან კარგად იცოდა, რომ თუ რუსეთი ამიერკავკასიაში შემოვიდოდა, მისი შეჩერება ძალიან გაუჭირდებოდა და შეიძლება იმაზე ბევრად მეტი მიწები დაეკარგა, ვიდრე ერეკლესათვის ფიქრობდა გადაცემას.

ირან-ოსმალეთის პოლიტიკური დაკნინების ფონზე ქვეყნის ალორძინების კარგი პერსპექტივები იშლებოდა.

გარდა ამისა, სამხრეთისაკენ რუსეთის გაფართოებით შეშფოთებული ევროპული სახელმწიფოების აღმოსავლურ პოლიტიკაში ამიერკავკასია, და განსაკუთრებით ქართლ-კახეთი, თანდათან სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერდა (ბერძენიშვილი, 1973: 455).

სამეთვოს შიგნითაც მდგომარეობა სტაბილურობისაკენ მიდიოდა. მსხვილი თავადების დათრგუნვით ერეკლემ კარგი საფუძველი შექმნა ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. ხოლო “მორიგე ჯარის” დაარსებით საიმედოდ ჩაკეტა სახელმწიფო საზღვრები და ძალზე შეზღუდა ლეკ მარბიელთა თარეში. “ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა” (ბერძენიშვილი, 1973: 436).

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან მდგომარეობა ამიერკავკასიაში ისევ გართულდა. რუსეთი ნელ-ნელა, მაგრამ დაუინებით ავიწროებს რა მოწინააღმდეგეებს (ირან-ოსმალეთს), მიზანმიმართულად ცდილობს ჯერ ამიერკავკასიაში, ხოლო შემდეგ ახლო აღმოსავლეთში გაბატონებას. მაგრამ რუსეთს უპირისპირდებოდა არა მარტო ირან-ოსმალეთი და კავკასიელი მაჰმადიანი ფეოდალების დიდი ნაწილი, არამედ მათ ზურგს უკან მდგარი ევროპული

სახელმწიფოების. ასეთ პირობებში რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქართლ-კახეთის სამეფომ, სადაც პრორუსულ ორიენტაციას დიდი ტრადიცია გააჩნდა. რუსეთის მთავრობას სჭირდებოდა, რომ ერეკლე მეფეს ოფიციალურად ეთხოვა მისთვის მფარველობა.

და აი, დასახული ამოცანის “შესაბამისად ამოქმედდნენ ეკატერინეს დიპლომატები. ერეკლეს კარზე იწყეს მიმოსვლა სხვადასხვა რუსმა მოხელეებმა, ელჩებმა, “მოგზაურებმა”. ყველა ესენი ზვერაუდნენ საქართველოს, სწავლობდნენ მას. ამათი ცნობების ნიადაგზე პოტიომკინი და მისი შტაბი არკვევდნენ, თუ რა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი ამ ქვეყნის ჩართვა რუსეთის ახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში” (ბერძენიშვილი, 1973: 455).

გაძლიერდა და გააქტიურდა რუსეთის აგენტურის მოქმედება საკუთრივ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე. ალ. ორბელიანის წერილებიდან ცნობილია, რომ ამ სფეროში განსაკუთრებით სომხური დაჯგუფება გამოირჩეოდა (ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914: 42-52). ეს დაჯგუფება ქართლ-კახეთში ფართო მასშტაბების დივერსიულ საქმიანობას ეწეოდა.

სომეხთა გარკვეული წრეების ანტიქართულ საქმიანობას თავისი მიზნები გააჩნდა. ისინი რუსეთის დახმარებით ამიერკავკასიაში საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენას ცდილობდნენ. მართალია, თავიდან სომეხების ნაწილი ერეკლეს მფარველობაში ყოფნას მისაღებად თვლიდა, მაგრამ თანდათან გაძლიერდა საკუთრივ სომხური სახელმწიფოს აღდგენის იდეა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

სომეხი ხალხის წინაშე იმუჟამად ერთადერთი უმთავრესი პოლიტიკური ამოცანა იდგა: თავისი გაფანტული ნაწილების შემოკრება და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა. მაგრამ ყველა სომხისათვის ამ საერთო მიზნის მისაღწევად არ არსებობდა ერთიანი, თანმიმდევრული პროგრამა და არც შეიძლება არსებულებოდა, რადგანაც არ იყო ის შინაგანი მათორგანიზებელი ძალა, რომელსაც შეეძლებოდა ერთიანი სომხური საზოგადოების ინტერესების გამომხატველი გამხდარიყო. კავკასიური სავაჭრო წრეები, თუმცა მხარს უჭერდნენ ერეკლე მეორეს მისწრაფებებს და ძლიერი

კავკასიური სახელმწიფოს შექმნის მისეულ გეგმას იზიარებდნენ, მაგრამ, იმავე დროს არც უცხო, დიდი სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანების წინააღმდეგი იყვნენ, თუნდაც ამას ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება მოჰყოლოდა შედეგად – აღნიშნავს ისტორიკოსი გურამ მაისურაძე (მაისურაძე, 1982: 238,240).

მაგრამ მალე გაურკვეველობა დაძლეული იქნა და რუსეთთან კავშირში სომხური სახელმწიფოს აღდგენის იდეამ გამოკვეთილი, თანმიმდევრული სახე მიიღო. ყოველივე ამის ერთ-ერთი აქტიური სულისჩამდგმელი კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი იყო.

სიმეონ ერევანცი (1763-1782 წ.წ.) ეჩმიაძინის საკათოლიკოსო ტახტზე 1763 წელს ავიდა. სომეხი ისტორიკოსის პ. არუთინიანის სამართლიანი შეფასებით, იგი „იყო არა მარტო საეკლესიო, არამედ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეც, რომელმაც XVIII საუკუნის სომხეთის ისტორიაში ძალზე დიდი როლი ითამაშა“ (Ереванци, 1958: 5).

ისტორიკოს ო. ჯიბაშვილის აზრით კი ეჩმიაძინში სიმეონ ერევანცის მოსვლით სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. ეს მართლაც გამჭრიახი პოლიტიკოსი იმთავითვე შეუდგა დაუღალავ ბრძოლას სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, სიმეონმა მაინც შესძლო ამ საქმისათვის მყარი საფუძვლის ჩაყრა. თანდათან სიმეონისეული წამოწყების გარშემო სოლიდური ძალები დაირაგმა და მან სომეხთა ფართო მასები მოიცვა (ჯიბაშვილი, 2010: 101).

დასახული მიზნის მისაღწევად კათოლიკოსმა ორიენტაცია რუსეთის იმპერიაზე აიღო. 1767 წელს ეჩმიაძინის ელჩი დავით ვარდაპეტი დაუკავშირდა რუსეთის სომხური თემის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წევრს, ასტრახანელ კომერსანტს მოვსეს სარაფოვს (Иоаннисян, 1945: 267). ცოტა ხნის შემდეგ, 1769 წლის 8 ივნისს, მოვსეს სარაფოვმა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა ძალზე საინტერესო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სომხური ოლქების განთავისუფლებას და რუსეთის პროტექტორატის ქვეშ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას (Иоаннисян, 1945: 266).

პროექტს მხარს უჭერდა რუსეთის სომხური თემის უმდიდრესი წარმომადგენლები: ივანე ლაზარევი, მაკარ მანუჩაროვი, გრიგოლ კამპანოვი და სხვ.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ეჩმიაძინი რუსეთის იმპერიის ერთგულ მოკავშირედ გადაიქცა ამიერკავკასიაში. რუსეთი რაც შეეძლო აღვივებდა ამ ტენდენციას – პეტერბურგის შეკვეთით რუსეთში მოღვაწე სომეხთა არქიეპისკოპოსმა იოსებ არლუთიანმა 1779-80 წლებში შეადგინა შეთანხმების პროექტი რუსეთის საიმპერატორო კარსა და სომეხ ერს შორის (Григорян, 1946:14). ამ შეთანხმების საფუძველზე სომხური სახელმწიფო უახლოეს მომავალში უნდა აღდგენილიყო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. დროის მოთხოვნების შესაბამისად სომეხთა აღნიშნული წრეები ყველაზე მხურვალე რუსოფილებად გადაიქცნენ და, როგორც შეთანხმების პროექტიდან ჩანს, რუსების გამოყენებით „დიდი სომხეთის“ შექმნა და ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოპოვება დაისახეს მიზნად (Потто, 1886: 718-720). ამისათვის კი ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო უნდა დაცემულიყო, შემდეგ კი ამიერკავკასიაში რუსეთი შემოსულიყო. ამიტომაც გადაიქცა „სომხური დასი“ საქართველოსათვის მეხუთე კოლონად და ყველაფერი გააკეთა მისი სახელმწიფოებრიობის გასანადგურებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი გადმოცემით სომეხებს დაზვერვის კარგად ორგანიზებული ქსელი ჰქონდათ, „ყოველ ქალაქებში და დიდრონ სოფლებში თავისი აგენტები ჰყავნდათ“, რუსეთიდან იოსებ არლუთიანის გამოგზავნილი ფული და ღირებულებებიც ბლომად მოსდიოდათ და ნაყოფიერადაც იღვწოდნენ ერეკლეს საზიანოდ (ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914:52).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ სწორედ ამ „სომხურმა დასმა“ მოწამლა 1782 წელს ერეკლე მეფის ვაჟი ლევან ბატონიშვილი, რომელიც მამის მარჯვენა ხელი, ძლიერი სარდალი და გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო (ჯიბაშვილი, 2016: 58-69). ამ აქტით სომხებმა ძალიან შეუწყვეს ხელი ერეკლეს დასუსტებას. ამის შემდეგ ერეკლემ მალევე ცნო მიზანშეწონილად რუსეთის მფარველობის მიღება და გეორგიევსკის ტრაქტატის დადება დააჩქარა. ქართლ-კახეთი რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცა. სომეხები ამ ფაქტს მიესალმებოდნენ.

მათ გაუძლიერდათ იმედი, რომ მალე რუსეთი უფრო მყარად დამკვიდრდებოდა ამიერკავკასიაში და სომხებს დაეხმარებოდა სახელმწიფოებრიობის აღდგენაში.

სიმეონ ერევანცის შემდეგ, რომელიც 1763-1782 წლებში იყო ეჩმიაძინის კათოლიკოსი (<https://ru.wikipedia.org/wiki/Симеон–Ереванци>), სომხური სახელმწიფოს აღდგენის საქმეს რუსეთში მყოფი სომეხი არქიეპისკოპოსი იოსებ არლუთიანი (არლუთინსკი) ჩაუდგა სათავეში. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი მას საქართველოში მოქმედი „სომხური დასის“ წინამძღოლად მიიჩნევს. XVIII საუკუნის ბოლოს იგი სომეხთა კათოლიკოსადაც დაინიშნა, მაგრამ დანიშვნიდან ძალიან მალე გარდაიცვალა.

იოსებ არლუთიანი ცდილობდა სომხური სახელმწიფოს აღდგენა ქართული მიწების ხარჯზე დაწყებულიყო. თამარ და აკაკი შაპავები მიუთითებენ, რომ მან “მთელი მოძრაობა შექმნა ძველი, დაკარგული “არმენიის” ნაწილობრივ მაინც საქართველოში გადმოსატანად. მას, რა თქმა უნდა, წინ საქართველოს სამეფოს არსებობა ელოებოდა და სომხების კათოლიკოსმაც აქეთვე მიიტანა იერიში. საფიქრებელია, რომ საქართველოს საოკუპაციო გამოგზავნილი რუსული ჯარის მეთაურად სომეხ გენერალ ლაზარევის¹ დანიშვნა სწორედ ამ არლუთიანის, ან მისი გარემოცვის საქმე იყო” (შაპავა, შაპავა, 1956:86). ამ მხრივ, როგორც ჩანს, იოსებ არლუთიანი ძველ სომხურ ტრადიციას მიჰყვებოდა: პირველი სომხური სამეფოები – დიდი და მცირე არმენია – ძვ.წ.-აღ.-ით 190 წელს ხომ ნაწილობრივ ქართული მიწების მიტაცების ხარჯზე შეიქმნა (<http://umurgulia82.blogspot.com/2016/01/blog-post.html>).

სომხებმა საქართველოსათვის უარყოფითი როლი ითამაშეს კრწანისის ომის დროსაც.

სიმონ ქვარიანი წერს, რომ სომხები ამ დროს აწარმოებდნენ ორჭოთა პოლიტიკას, ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც უნთებდნენ სანთელს და ეშმაკსაც. ე.ი, რუსებსაც უშლიდნენ გულს ფიანდაბად და ეპატიუებოდნენ საქართველოში საბატონოდ და ირანის შაჰს ალა-მაჰმად ხანსაც უგზავნიდნენ ფულსა და ფეშქაშებს, მოუძღოდნენ წინ ქართ-კახეთის დასაპყრობად (ქვარიანი, 1919:112). ხოლო ივანე

¹ გენერალი ივანე ლაზარევი წარმოშობით შულავერელი სომეხი ოვანეს ლაზარიანცი იყო.

ჯავახიშვილი ირონიით შენიშნავს, რომ სომეხთა კათალიკოსმა ლუკამ 1795 წელს საქართველოს მოსაოხრებლად მომავალ ალა-მაჰმად ხანს, „ალბათ შიშით“, სამხედრო ხარჯების დასაფარავად 100000 მანეთი მისცაო (ჯავახიშვილი, 1919:31). ფაქტობრივად, გამოდის, რომ ქართლ-კახეთის წინააღმდეგ წარმოებული სადამსჯელო ექსპედიცია სომეხების დაფინანსებული ყოფილა.

კრწანისის მოვლენების გადმოცემისას ერეკლე მეფის შვილიშვილი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი მოგვითხრობს – მთელ საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დანაწნალებდნენ და ხალხს აშინებდნენ, ალა-მაჰმად ხანი ორასი ათასი ჯარით მოდის, დაიხიზნეთ, თორემ სულერთიანად წაგლეკავთო (ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914:3). პანიკისა და დესტაბილიზაციის თესვის თაოსნებად ჯამბაკურ-ორბელიანი სომეხებს მიიჩნევს. პანიკის გავრცელებითა და სხვა ქმედებებით მათ შეგნებულად შეუშალეს ხელი ერეკლეს ჯარების შეკრების საქმეში და ქვეყანა, ფაქტობრივად, დაუცველი დატოვეს.

მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვან ძალების ამარა დარჩენილმა ერეკლე მეფემ, კარგი სარდლობისა და ქართველი მეომრების თავგანწირული ბრძოლის წყალობით, მაინც მოახერხა ირანის შაჰის მოგერიება და მისი უკან გაბრუნება. მაგრამ „თბილისში მყოფმა მოღალატე სომეხებმა არტემ არარატელმა და იოსებ ბებუთოვმა პატიმრად მყოფი სპარსეთის ელჩი ციხიდან გააპარეს“, შაჰს დაენივნენ და ამცნეს, რომ „ქართველებს ძალზე მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავთ და საჭიროა დაუყოვნებლივ მათზე გალაშქრება“ (შუბითიძე, 2011). გამხნივებული ალა-მაჰმად ხანი შემობრუნდა და სასტიკ ბრძოლაში ქართველები დაამარცხა, შემდეგ კი თბილისი გაძარცვა და ააოხრა, სახლები და მართლმადიდებლური ეკლესიები კი დაანგრევინა. „ნიშანდობლივია, რომ სპარსელებმა არ დაანგრეს სომხური ეკლესიები და სომეხებს არც ერჩოდნენ – ასე გადაუხადეს მადლობა ქართველთა ლალატისათვისო“ – აღნიშნავს ისტორიკოსი ვაჟა შუბითიძე (შუბითიძე, 2011).

სომეხების ლალატის გამო კრწანისთან განცდილმა მარცხმა დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს: ქართლ-კახეთი საგრძნობლად დაზარალდა, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, ქვეყანა

ფართომასშტაბიანმა კრიზისმა მოიყვანა და მტრისათვის ადვილად ხელში ჩასაგდება გახდა.

საინტერესოა, რომ ალა-მაჰმად ხანის მიერ დარბეულ ქართლ-კახეთს თავი „დროებით“ შეათარეს ყარაბაღიდან ლტოლვილმა სომხებმა, თუმცა შემდეგ ისინი არათუ უკან დაბრუნდნენ, არამედ სხვა ყარაბაღელი სომხებიც თავიანთ მელიქებიანად გამოიქცნენ საქართველოში (გუგუშვილი, 1949:79). ყარაბაღში შვეინროებულ მდგომარეობაში მყოფი სომეხი მელიქები დახმარებას ერეკლეს სთხოვდნენ, ერეკლემაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა. გაჩნდა მცირე სათავადოები, რომელთაც სათავეში მოექცნენ დევნილი სომეხი მელიქები: მელიქ აბოვი, ჯიმშიდი და ფრიდონი. ეს მელიქები, ფაქტობრივად, საქართველოს თავადებად იქცნენ. მათი უფლებრივი მდგომარეობა ამ დროს ყარაბაღის სახანოში მყოფი მელიქების უფლებაზე გაცილებით დიდი იყო (ლომსაძე, 1975:344).

ერეკლესაგან გამოვლენილი კეთილი ნების სანაცვლოდ სომეხმა მელიქებმა ჯიმშიდმა და ფრიდონმა, ქართლ-კახეთის მეფეს გვერდის ავლით, ყარაბაღელი მელიქების სახელით, საიდუმლო არზა გააგზავნეს პეტერბურგში. ისინი იმპერატორ პავლე I-ს სთხოვდნენ ქვემო ქართლში დასახლებას და თან რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებას.

სომეხ მელიქთა უმადურობით აღშფოთებული ივანე ჯავახიშვილი წერდა: „უეჭველია, ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო – საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მაღლობის მაგიერ კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს“. მოგვიანებით, პავლე პირველმა მართლაც „სთხოვა“ გიორგი XII-ს, რომ სომეხი მელიქებისათვის გამოეყო მამულები ხელსაყრელ პირობებში. ამის წყალობით სომხებმა ქართული მიწები მიიღეს, რუსებმა კი იღუმალი ქვეშევრდომები გაიჩინეს (ჯავახიშვილი, 1919: 31-33). გარდა ამისა,

რუსეთის საიმპერატორო კარმა თავის ელჩს გიორგი XII-ის კარზე პ. კოვალენსკის მითითება მისცა, რომ „სასურველია სომეხთა თემები იმყოფებოდნენ საქართველოსაგან მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებაში და მეფეს უხდიდნენ ხარკს და ეხმარებოდნენ ქვეყნის დაცვის საქმეში“ (თეთვაძე, თეთვაძე, 1998:53). ამ გზით ქართულ მიწაზე დამკვიდრებული სომეხები ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ქართულ სახელმწიფოსთან მიმართებაში და ოცნებას სომხური სახელმწიფოს აღდგენასთან დაკავშირებით ფრთები უფრო შეესხმებოდა. როგორც ისტორიკოსი გ. მაისურაძე მიუთითებს, სომეხთა გარკვეული პოლიტიკური წრეები ოცნებობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სომხური ავტონომიური ქვეყანა შეექმნათ (მაისურაძე, 1982:284). რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში სომხური სახელმწიფოს აღდგენა ქართული მიწების ხარჯზე უნდა დაწყებულიყო.

სომეხები მოხერხებულად იყენებდნენ ამიერკავკასიით რუსეთის მზარდ დაინტერესებას და ცდილობდნენ თავისთვის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ეს. ყველანაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ რუსეთი თავიანთ ერთგულებაში და სანაცვლოდ, მისი დახმარებით, თავი მოეყარათ თავიანთი გაფანტული მოსახლეობისათვის ქართლ-კახეთში. შემდგომში ეს ხელს შეუწყობდა იოლად მიეთვისებინათ ქართული ტერიტორიები და სომხური სახელმწიფოს აღდგენაც აქედან დაეწყათ.

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ანტიქართულად განწყობილ სომხურ წრეებს მეტი გასაქანი მიეცათ, რადგან გიორგი XII ვერ იყო მამასავით ძლიერი პიროვნება. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ კრწანისის მარცხით უკვე დასუსტებული ქართლ-კახეთი კიდევ უფრო გაეტეხათ წელში რუსეთის ხელით და აქ თავად დამკვიდრებულიყვნენ.

ამ საქმეში დიდ დაინტერესებას იჩენდნენ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მცხოვრები სომეხი დიდგაჭრები და სასულიერო პირები.

მღვდელმა პ. კარბელაშვილმა 1916 წლის აგვისტოში გაზეთ “სამშობლოს” ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატიათა ციკლი “სომეხები საქართველოში” (ისტორიული

საბუთები), სადაც ამხელს სომეხთა უზნეობას, ვერაგობას და ღალატს საქართველოს მიმართ. იგი წერს, რომ სომხების პატრიარქი იოსებ არლუთიანი და თბილისის სომხობა ნატრობდნენ სომხეთის სამეფოს აღდგენას და ამიტომ ერეკლე II-ის გაძლიერება არ ეპიტნავებოდათ. პირიქით, ხელს უწყობდნენ საქართველოს დაუძლიერებას (კარბელაშვილი, 1916).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერეკლეს შვილიშვილი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი თავის წერილებში პირდაპირ წერს, რომ რუსეთში მყოფი იოსებ არლუთიანს აგენტურული ქსელი ჰქონდა შექმნილი საქართველოში და ყოველ ქალაქსა და დიდ სოფელში თავისი აგენტები ჰყავდა. ეს აგენტები რუსეთიდან იოსებ არლუთიანის გამოგზავნილ ფულებსა და დავალებებს იღებდნენ და გულმოდგინედაც ასრულებდნენ მათ საქართველოს საზიანოდ, ხშირად მათ მიერვე გაბრიყვებული ქართველების ხელით. ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელსაც დიდი ინფორმაცია ჰქონდა ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის დროს მომხდარი ამბების შესახებ, ასეთ დასკვნას აკეთებს: “როგორც ბოლო დროს შევიტყვე და წერილად მიამბეს, რაც საქართველოს მოუვიდა, სულ სომხებისაგან; სხვას ნურავის დავაბრალებთ, ისინი ჩვენი ხელით ნარს გლექდნენ, ჩვენ იმათი იარაღი ვიყავით” (ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914: 52).

ამდენად, როგორც ამას ვ. შუბითიძე აღნიშნავს, „შეიძლება დავასკვნათ, რომ სომხებმა უღირსი და ვერაგული როლი შეასრულეს ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის საქმეში“ (შუბითიძე, 2011).

სომეხთა ანტიქართული წრეები დიდი სიხარულით შეხვდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას. მათთვის ეს იყო ახალი საშუალება გაფანტული სომხების სხვადასხვა კუთხიდან ქართლ-კახეთში თავმოყრისათვის. ამის გამო სომეხთა ახალდანიშნული კათოლიკოსის იოსებ არლუთიანის „თაოსნობით და მეთაურობით თბილისელმა სომხებმა, სიონის ტაძარში ქართველთა იძულებით დაფიცებამდე ადრე, თავისი ნებით, დიდი ზეიმით (74 მღვდლის, 8 არქიმანდრიტის, მრავალი სომეხის თანდასწრებით) ვანქის საკრებულოში დიდი პარაკლისი გადაიხადეს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობის აღსანიშნავად“ (შუბითიძე, 2011).

სომეხთა აღნიშნულმა წრეებმა არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს დამხობას შეუწყო ხელი, არამედ შემდეგაც ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ქართველებს ფეხზე წამოდგომა და თავისუფლების დაბრუნება ვერ მოეხერხებინათ. თავისუფლება წართმეულ საქართველოში მათ თავმოყრის, გამრავლების და ქართული მიწებისა და ისტორიის მიტაცების კარგი საშუალება ჰქონდათ.

სწორედ ამიტომ იყო, რომ როდესაც ქართველებმა აჯანყებები დაიწყეს რუსული კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ, სომხური ეკლესია და ზედაფენები იმპერიას ამოუდგნენ მხარში. მაგ: 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს იმდენად დიდი სამსახური გაუწიეს იმპერიას აჯანყების ჩახშობაში, რომ კავკასიის მთავარმართებელმა რტიშჩევმა 1813 წლის 13 მაისს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს წერილი გაუგზავნა და მოითხოვა საქართველოში მცხოვრები სომხების დაჭილდობა „უმაღლესის ღრამატით“ რუსეთისადმი განეული სამსახურისა და ქართველთა ღალატისათვის: “ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავსა, – წერდა იგი იმპერატორს, – ...გაცნობით, რომ სომხის ერი, რომელიც საქართველოს მკვიდრთა შესამჩნევ ნაწილს შეადგენს, ყელთამდე სავსეა ერთგულ უქვეშევრდომილეს მადლობით იმ უმაღლეს მფარველობისა და ენით გამოუთქმელ სიუხვე-წყალობისათვის, რომელიც ევლინება თქვენს უდიდებულესობისაგან სომხობას... ყველაზე დიდად თავი ისახელეს წარსულ კახეთის ამბოხების დროს. როდესაც მთელ საქართველოში კაცი აღარ დარჩა ჩვენი ერთგული, მარტო სომხებმა არა თუ არ მიიღეს არავითარი მონაწილეობა ამბოხებაში, არამედ სიცოცხლესა და ქონებასაც არა ზოგავდნენ. ჩვენ ჯარებთან ერთგულ და ერთსულ იყვნენ, ამხედრდნენ მუამბოხეთა წინააღმდეგ და რუსის მხედრობასთან ერთად იბრძოდნენ მამულოთართა გასაწყვეტად. სომხებმა ბრძოლაში გამოიჩინეს სამაგალითო ვაჟკაცობა და გულწრფელი თავდადება თქვენის იმპერატორების უდიდებულესობისადმი. ამას გარდა აქაური მთავრობა სომხებს უნდა უმაღლიდეს, რომ დროზე და წინდანინ იტყობდა, რას აპირობდნენ მუამბოხენი და სადა ჰქონდათ ბინა. კახეთის სხვა და სხვა კუთხეს გაბნეული, ერთმანეთს მოწყვეტილი ჯარი თუ რამეს იგებდა ერთმანეთისას, ეს სულ სომხების წყალობითა, რომელნიც სიამოვნებით და ხალისით ასრულებდნენ

ასეთ სახითათო მინდობილებას და ხშირადაც სიცოცხლეს ესაღმებოდნენ სამსახურის ერთგულების გამოვო” (ფრონელი, 1907: 229-230)

რუსულმა ხელისუფლებამ, რომელმაც კარგად იცოდა სომეხთა ზნეობრივი მრწამსი და მოლაღატური ბუნება, ისინი კარგად გამოიყენა ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუფლების, შემდეგ კი აქ თავისი პოზიციების განმტკიცების საქმეში.

იმპერიამ სათანადოდ დაუფასა სომეხებს ერთგულება და ქართველთა ღალატი და XIX საუკუნეში ოსმალეთიდან და ირანიდან აყრილი ასი ათასობით სომეხი საქართველოს მიწა-წყალზე დაასახლა. სომეხებმა საქართველოს დემოგრაფიული ანექსია დაიწყეს. საქართველოში სომეხთა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქართული მიწების, კულტურისა და ისტორიის მითვისება-გასომხურების მისწრაფება. ეს კი კარგ საფუძველს ქმნიდა ქართული მიწების ხარჯზე სომხური სახელმწიფოს აღდგენის იდეის შემდგომი გაძლიერება-განვითარებისათვის.

§. 2. სომეხთა ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთში რუსეთ–ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ

1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო შეიერთა. მალე, 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც გაუქმდა. იმის გამო რომ სომხურ ეკლესიას ავტოკეფალია შეუნარჩუნეს, ამით ისინი, ქართველებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან სომხური ეკლესიის სახით მათ მეთაური და მზრუნველი ჰყავდათ. ამ უპირატესობამ შემდეგში ბევრჯერ იჩინა თავი.

XIX საუკუნეში საქართველოში მომრავლდა სომხური მოსახლეობა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენეთ ნ. ღურნოვოს სიტყვები: „რუსულმა ბიუროკრატებმა, ნაცვლად იმისა, სიყვარულითა და სიმართლით ჰქონდეთ ავსებული გული, ქართველებმა რომ რუსული არწივის ფრთებქვეშ შეაფარეს თავი, მათ ხარბი ექსპლოატატორები სომხები შეუსია“ (აბდალაძე, 2008:142).

სამცხე-ჯავახეთში კოლონიზატორული პოლიტიკის ძირითადი კონტურები ჯერ კიდევ რუსეთ–ოსმალეთს შორის ომის მსვლელობისას გამოიკვეთა. კერძოდ ამ დროს დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიური კერიდან აყრა, ომით შეწუხებული ხალხი მიუდგომელ ადგილებში გაიხიზნა. რუს სამხედრო ისტორიკოსს ვ. პოტოს ამის მრავალი მაგალითი მოჰყავს. თავისი გამოკვლევების ერთ ადგილას ავტორი შენიშნავს, „რომ ომის მსვლელობის პერიოდში ახალციხის საფაშო ხალხისგან დაიკალა. ბევრი ბრძოლის მსვლელობისას დაიღუპა. მხოლოდ ახალციხის ალებისას რუსულ იარაღს სამი ათასი ადგილობრივი შეეწირა, რომელთა შორის რვაასამდე ქალი იყო“. ახალციხის ალების შემდეგ, როგორც ამას ლ. ზაგურსკი მიუთითებს, „დიდი მასა ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობისა ერთბაშად თურქეთში გაიხიზნა, ახალციხე და სხვა გამაგრებული პუნქტები საგრძნობლად დაცარიელდა“. საუბარი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების რუსული ახალშენებისთვის ვარგისიანობაზე აღრე დანყებულა. „ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივლისს, ი. პასკევიჩსა და რუსეთის საგარეო უწყებას შორის მიმონწერიდან ჩანს, რომ

მთავარმართებელი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მიწების ნაყოფიერებისა და ჰავის რუსეთის შიდა რაიონებთან იდენტობაზე” (ვარდმანიძე, 2013:38–41).

იმისათვის, რომ ტერიტორიები დაეცალათ, ადგილობრივი მოსახლეობის გასადევნად ოლქის დროებითი გამგეობა ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა. „ამისთვის ის დაშინებას, შანტაჟსა და ტყუილსაც კი არ თაკილობდა. ბებუთოვი მოსახლეობას იჯარით აშინებდა, შეძრწუნებული ხალხი ტყეში იმალებოდა, მათ მიწებზე კი უცხოტომელებს ასახლებდნენ” (ჯანიაშვილი, 1995:12). აქ თავისი როლი ითამაშა ვ. ბებუთოვის სომხურმა წარმომავლობამ: სომეხი ბებუთოვი ჯავახეთის ქართველობისაგან დაცლასა და იქ სომხების დასახლებას ცდილობდა.

1829 წ 30 ივლისს ბარონი ოსტენ–საკენი გრაფ პასკევიჩს წერდა: „ახალციხე სადაც ჯერ კიდევ დარჩენილია სამასი ოჯახი, გავრცელდა შავი ჭირი, ამის მიზეზი კი ქალაქში გამეფებული ანტისანიტარია და მოსახლეობის ცუდი კვებაა. ხალხი რუს ოფიცერთა და ჯარისკაცთა მიერ ციტადელიდან გადმოყრილი ნარჩენებით იკვებებოდა, როგორც ვხედავთ დამშეული და დაავადებული ხალხი სასიკვდილოდ გასწირეს. ძალ ღონეს არ ზოგავდნენ ცარიზმის მოხელეები ზავის პირობების გარკვევამდე მაქსიმალურად შეეთხელებინათ მათ მიერ დაკავებული ტერიტორიები მუსლიმანი ქართველებისგან” (ვარდმანიძე, 2013:46-47)

ადგილობრივი მოსახლეობის აყრა–განსახლების პრობლემას შეეხო აგრეთვე ვ. მოდებაძე, რომელიც მითითებს: „რუსეთი აქტიურად აქეზებდა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან მოსახლეობას გადასახლებულიყვნენ თურქეთში, რის გამოც იზრდებოდა თურქეთში მიგრაციის ტალღა. 1829 წელს ახალციხის ალებისას, რუსები განსაკუთრებული სისასტიკით მოეპყრნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას. მათ ბავშვები და ქალები დახოცეს და რუსული სისასტიკის ასაცილებლად ბევრი ადგილობრივი მაჰმადიანი მესხი იძულებული იყო დაეტოვებინა სამცხე-ჯავახეთი”. ეთნიკური წმენდის პოლიტიკამ თავის შედეგს მიაღწია. ანტიქართულმა პოლიტიკამ რადიკალურად შეცვალა დემოგრაფიული სურათი სამცხე-ჯავახეთში. ქართველი მაჰმადიანების გადასახლებას რუსის ჯარის სომეხი გენერალი ბებუთოვიც ხელს უწყობდა (მოდებაძე, 2010:51–52).

„ახალციხის აღების დროს, სამწუხაროდ, ქართველ მაჰმადიანებში ბევრი თუ შერთების მოსურვე იყო, ბევრი წინაღმდეგიც გახლდათ. ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ერთი საცოდაობა იყო, ზოგი ტიროდა, ზოგი ბლაოდა, ზოგი მიწაზე ვარდებოდა და ისე ეთხოვებოდა თავის მამა-პაპის სახლკარს, ბაღს, ბოსტანს და სხვა. ასე დაიცალა მთელი მესხეთ ჯავახეთის სოფლები ერთი წლის განმავლობაში ქართველი მაჰმადიანებისგან, მათ უქადაგებდნენ, რომ აიყარენით და წადით ოსმალეთში, თორემ რუსები აქ თქვენ ყველას გაგაქრისტიანებენო” – ამის ქადაგებაში გენერალი ბებუთოვიც იღებდა მონაწილეობას. ქართველი მაჰმადიანები გადასახლდნენ ოსმალეთში და მათი ქონება შეისყიდეს არზრუმის სომხებმა. ვინც გადასახლდა, მალე დაიწყეს ფიქრი უკან დაბრუნებაზე, რადგან სიღარიბე მალე ეწვიათ და ოსმალეთში დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ (ჭიჭინაძე, 1911:197–200).

რაც შეეხება თურქეთში მცხოვრებ სომხებს, XIX საუკუნის დასაწყისში აქ ცხოვრობდა ათი-ათასობით კომლი სომეხი. პოტიომკინის დაკვირვებით „აქ მცხოვრებ ყველა სომეხს უნდოდა გამოქცეოდა თურქეთის ხელისუფლებას. ისინი თანახმა იყვნენ შემოსახლებულიყვნენ საქართველოში, რუსეთში გადასახლებაზე კი უარს ამბობდნენ. ბევრი მათგანი იარაღით გამოდიოდა რუსების მხარეზე და ებრძოდა თურქებს” (ლომსაძე, 1975:345) .

სამ. ფირცხალავა 1829 წ. 2(14) სექტემბერს ადრიანოპოლში დადებულ ხელშეკრულებას შემდეგნაირად აფასებს: „1828 წელს თითქოს განხორციელდა ერეკლეს ოცნება, რუსეთის ჯარმა 2 სექტემბერს ანდრიანოპოლის ხელშეკრულებით ოსმალეთს ჩამოართვა – ახალციხე და ჯავახეთი. მაგრამ, საუბედუროდ, სამშობლოში დაბრუნებულ მესხებს არავინ მიეგება დედის გულით” (ფირცხალავა, 1915:39).

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობამ ადგილობრივ მესხ მოსახლეობას რელიგიური მრწამსის გამო თურქობა დასწამა. თურქებად შერაცხვა. ეს არ იყო უცოდინარობის და შეცდომის ბრალი. ალ.ფრონელი წერს: „სამცხე-საათაბაგო დაიჭირა გრაფმა პასკევიჩმა. აქაურ მკვიდრს მესხის მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ. ეს უდიდესი შეცდომაა და წინაღმდეგობა როგორც ბუნებისა, აგრეთვე მეცნიერებისა” (ფრონელი, 1991:131).

1828 წ. 4 დეკემბერს ნესერლოდე პასკევიჩს სწერდა და სთავაზობდა თავის გეგმას. ამ გეგმით თურქეთიდან სომხები უნდა შემოესახლებინათ – ერთი ნაწილი ომის შემდგევ შემოერთებულ ახალციხის საფაშოში. 1829 წ. ივნისს, როდესაც კავკასიის არმიის ნაწილებმა აიღეს არზრუმი, ბაიბურთი და სხვა, პასკევიჩმა პეტერბურგში გააგზავნა გენერალ-ადიუტანტი პოტიომკინი და პირადად ხელმწიფეს მიართვა მოხსენება ომში დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ სომეხთა და ბერძენთა შესახებ. „ისინი სიხარულითა და სიყვარულით გვხდებოდნენ და ჩვენს მხარეს გადმოდიოდნენ, ესენი არიან დახელოვნებული ვაჭარ-ხელოსნები და შეუძლიათ დიდი სიკეთე მოუტანონ ქვეყანას, ახლა, რომ ესენი თურქეთის ხელში დავტოვოთ, მათ თურქები დასჯიან ჩვენი ერთგულებისთვის. მათი რიცხვი კი 10 000-მდეა” (ლომსაძე, 1975:345-346).

პასკევიჩი იყო გადმოსახლების ინიციატორი. მან დაარსა გადმოსახლების ხელის შემწყობი კომიტეტი. რომელმაც იმპერატორს მოახსენა „თუ სომხებს ნებას არ მივცემთ გადმოსახლებისას, ოსმალონი სულ ერთიანად ამონყვეტავენო, რადგან ომის დროს სომხები ჩვენ გვიმართავდენ ხელსაო” (ფრონელი, 1899:16).

1829 წ. დეკემბერში კომიტეტმა მუშაობა დაიწყო და შეადგინა გადმოსახლების დებულება, რომელიც 13 მუხლისაგან შედგებოდა. დებულების თანახმად: „გადმოსახლებულები დაიყოფებოდნენ თავიანთი საქმიანობის მიხედვით „კლასებად“ , ვაჭრებად, ხელოსნებად, მინის მუშებად. საჭიროების შემთხვევაში კოლონისტთა დასახლება შეიძლებოდა საეკლესიო მიწებზე და გამონაკლისის შემთხვევაში მემამულეთა მიწებზეც. სომხები არ უნდა შერეოდნენ მუსლიმანურ დასახლებებს. კოლონისტებისაგან ცალკე უნდა შექმნილიყო ოლქი ანუ ვოლოსტი. ყოველ გადმოსახლებულს მიეცემოდა 25 მანეთი ვერცხლით, რომლისათვისაც საჭირო იყო ნებართვა. კომიტეტი ვალდებული იყო გადმოსახლებულები უზრუნველყო პროდუქტებით ახალი მოსავლის მიღებამდე, საჭირო იქნებოდა მათი შენახვა 1831 წ. აგვისტომდე ე.ი 14 თვე” (ლომსაძე, 1975:349).

1830 წლის ივლისში გადმოსახლება ისეთი ტემპით დაიწყო, რომ კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულების დაცვა ვერ ხერხდებოდა. კომიტეტის წინასწარი

ანგარიშით ყარსის, ერზრუმისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან ჩვენს საზღვრებში შემოსახლდებოდა 8 000 ოჯახი, მაგრამ გადმოსახლება როცა დაიწყო წამოვიდა უფრო მეტი კოლონისტი, დახლოებით 14 000 ოჯახი. ადრიანოპოლის ხელშეკრულების XIII მუხლით, განსაზღვრული იყო გადასახლება–გადმოსახლებისათვის 18 თვე. მაჰმადიანები ჩქარობდნენ, რომ დადგენილ დროში მოესწროთ მამულების გაყიდვა, იყიდებოდა მთელი სამცხე–ჯავახეთი გროშებად, მაგ. „ახალქალაქის სანჯაყბეგმა მუთი–ბეგ ფალავანდიშვილმა ჯავახეთის 29 სოფელი ხაზინას მიყიდა 3 600 მანეთად” (ლომსაძე, 1975:350–353).

ადგილობრივ მოსახლეობას დახმარების მიცემის ნაცვლად, ძველი ოსმალების ბატონობის პერიოდში არსებული, ვალდებულებების გადახდა დაეკისრა. ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა გადასახადებით განამებული მოსახლეობის მუდარა, რომელიც რიგ შეღავათას ითხოვდა. 1819 წ. 22 ოქტომბერის დებულების თანახმად, ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი რაიონებიდან გადმოსახლებულები ექვსი წლის ვადით თავისუფლდებოდნენ ნებისმიერი მოვალეობისაგან, ამიტომ, მხარის ფინანსური მგომარეობის გამოსწორება მკვიდრ მოსახლეობას დააწვა კისერზე. ცარიზმი იდეალურ პირობებს უქმნიდა ახლად ჩამოსახლებულებს, „ანიჭებდა მათ პრივილეგიებს, აძლევდა ერთჯერად დახმარებებსა თუ გძელვადიან კრედიტებს, ჩასახლების დროს ითვალისწინებდა მათ საქმიანობასა და კლიმატურ პირობებს”. ცარიზმა პირველი გაურკვეველი დატოვა ბეგების სოციალური მდგომარეობა, ბეგები არ აღიარეს და არ გაათანასწორეს იმპერიის პრივილეგირებულ წოდებებთან. ამის შედეგად მრავალმა მათგანმა დატოვა სამშობლო და გადასახლდა თურქეთში (ვარდმანიძე, 2013: 51–55).

1828–1830–იან წლებში არტაანის ოლქის სოფელ ველიდან კათოლიკე ქართველები ჩაასახლეს ახალქალაქის რაიონის სოფლებში. მათ ჩამოსახლებას დაემთხვა ერზრუმიდან სომხების ჩამოსახლება ჯავახეთში, რომელიც ველელების გარშემო დასახლდნენ. სომხებმა ველელებს ეკლესიაში სომხური რიტი დაუკანონეს, ხოლო შემდეგ სომხური სასულიერო სასწავლებელი გაუხსნეს. ბევრი კათოლიკე

ქართველი იტულებული შეიქმნა ამ სკოლებში მიელო განათლება. გარდა ამისა, მათ ქართული გვარები სომხურით შეუცვალე. ასეთმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ჯავახეთში მცხოვრები ბევრი ქართველის გასომხებას (მოღებაძე, 2010:56).

თურქეთის მთავრობა მოითხოვდა ახალციხის საფაშოს შემოერთებული მხარის მთელი მოსახლეობა გადასახლებულიყო თურქეთში, თუმცა სამცხე-ჯავახეთის ბევრი ქართველი მაჰმადიანი მტკიცე უარს ამბობდა გადასახლებაზე და ბევრი გაქცეული ბრუნდებოდა უკან, განსაკუთრებით მტკიცედ იდგნენ ახალციხის, ფოცხოვ ქვაბლიანისა და ხერთვისის სანჯაყთა მცხოვრები. საქმე კი ისე წავიდა, რომ ნაწილი მაინც შერჩა მშობლიურ კუთხეს. მართალია ბებუთოვმა ჩამოსახლებას თავად ვერ დაესწრო, თუმცა გადმოსახლებულებზე ზრუნვა მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. ბებუთოვის შემდეგ საფაშოს უფროსად დაინიშნა დრეშერნი, რომელმაც წარადგინა დანვრილებითი ცნობები საფაშოს დაცარიელებული და დაუსახლებელი სოფლებისა და ადგილების შესახებ. არზრუმის გადმოსახლებულთაგან ახალციხის საფაშოში გადმოვიდა 5 000 ოჯახზე მეტი, სამზადისი კი 3 000 ოჯახზე იყო და დაიკავეს თვითნებურად საეკლესიო და საბატონო მიწები. კოლონისტების ერთი ნაწილი დასახლდა ისეთ სოფლებშიც სადაც მკვიდრი მოსახლეობაც ცხოვრობდა. კამერალური აღწერითა და სახაზინო პალატის ტაბულებით მემამულეთა და სახაზინო მიწებზე ცხოვრობდნენ 3059 ოჯახი, რომელშიც ითვლებოდა 12 856 მამაკაცი. 5 000-მდე სული სომეხი მამაკაცი უნდა ვიანგარიშოთ ქალაქ ახალციხესა და ახალქალაქში. ოჯახზე 6 სულის გაანგარიშებით გამოდის , რომ თურქეთიდან შემოსახლებულა დაახლოებით 90 000 სული (ლომსაძე, 1975:354–358).

1829–30 წლებში თურქეთის ფარგლებიდან ქრისტიან სომეხთა შემოსახლება

საიდან გადმოსახლდა	ოჯახების რიცხვი	სად ჩასახლდა
არზრუმიდან	7298	5000 ოჯახზე მეტი დასახლდა ახალციხის საფაშოში

არდაგანიდან	67	ბორჩალოს დისტანციაში და წალკის მიდამოებში
ყარსიდან	2264	ბამბაკისა და შურაგელის დისტანციაში
ყარსელები	200	სომხეთის ოლქში
ბაიაზეთიდან	4215	სომხეთის ოლქში გიქჩისა და ბაშ-აბარანის მიდამოებში
სულ	14 044	

წყარო: შ. ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, გვ 359

მოსახლეობის ემიგრაციამ ფართო მაშტაბები მიიღო. მიდიოდნენ არა მარტო ცალკეული ოჯახები, არამედ მთლიანად გვარის წარმომადგენლები. სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობაში უკვე სომხები აღმოჩნდნენ. ხოლო ქართველ მაჰმადიანებს რაოდენობით მეორე ადგილიღა უკავია” (ჯავახიშვილი, 1919:40).

1834 წ. 17 იანვარს რუსეთ-თურქეთის მიერ სადემარკაციო ხაზის დაზუსტებასთან დაკავშირებით სტამბოლში დადებულმა კონვენციამ ფოცხოვის, ქვაბლიანის, ჩილდირის, ახალქალაქის სანჯაყთა მცხოვრებს უფლება მისცა 18 თვის განმავლობაში გაეყიდათ სურვილის მიხედვით უძრავ-მოძრავი ქონება და გადასახლებულიყო თურქეთში. როზენის მოთხოვნით კონვენციის ამ მუხლს დაემატა პუნქტი, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს აგრეთვე მისცემოდათ უფლება 18 თვის განმავლობაში გადმოსახლებულიყვნენ გამოთავისუფლებულ ადგილებში. სხვა ვითარება შეიქმნა აქედან მაჰმადიანთა განსახლების ნაცვლად, ადრე გასახლებული ქართველი მაჰმადიანები საზღვარს მოაწყდნენ და ბრუნებას ითხოვდნენ. ორანსკი სამართლიანად შენიშნავს: „თურქები, რომ ასე არ კძალავდნენ აქაური მაჰმადიანთა უკან დაბრუნებას, აქამდე ყველა თურქეთში გასახლებული უკან დაბრუნდებოდაო”. რუსეთის მთავრობა თურქეთის მხრიდან შემოსასვლელ ყველა

გზაზე დააყენა შეიარაღებული ყარაული, რომელიც გადმოსვლის მსურველს გზას უღობავდა. მოსახლეობა ჩუმად იპარებოდა საზღვარზე. ბევრმა შეძლო უკან დაბრუნება და ძველ საცხოვრებელზე დამკვიდრება. 1836 წ. 22 მარტს დასრულდა გადასახლება–გადმოსახლების 18 თვიანი ვადა, თუმცა საზღვარზე უნებართვით გადმოსვლა მაინც გრძელდებოდა (ლომსაძე, 1975: 365-366).

ზემოთ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 280 000 ათასიდან 40 000–მდე შემცირდა. რუსეთის 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, სომხები ქართველებზე მეტი იყვნენ, სომხების მასიური ჩამოსახლება საქართველოში მე–XX საუკუნეშიც გაგრძელდა. რუსეთის ხელისუფლება კათოლიკე ქართველებს სომხებად წერდა. 1899 წელს, მეფის ადმინისტრაციის ბრძანებით, ქართული ენა აიკრძალა სამცხე-ჯავახეთის ეკლესიებში, ღვთისმსახურება სრულდებოდა სომხურ და რუსულ ენებზე (მოლდბაძე, 2010:52,55).

უურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა რ. თოფჩიშვილის XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალციხის, ახალქალაქის მაზრების მასალები. აქ ქართველი კათოლიკეების გვარსახელებს თუ დავაკვირდებით, აშკარად გამოიყოფა სამი ტიპის გვარსახელები: 1. ქართულფუძიანი 2. სომხურფუძიანი და 3. თურქულფუძიანი. უმეტეს შემთხვევაში – ოვ (ევ) სუფიქსითა გაფორმებული. ეროვნება ყველას ქართველი აქვს მიწერილი, სარწმუნოება სომხურ–კათოლიკური. ქართული ძირებით არიან: დათებოვი, ფეიქაროვი, ბეთანოვი, ბერიძე და სხვა. სომხური ძირებით ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების წარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სომხურ–კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ. ოფიციალური გამოქვეყნებული მონაცემებით ახალქალაქის მაზრაში ქართველოების რაოდენობა 20,455–ით განისაზღვრება. 1886 წლის კამერალური აღწერით ჩანს ქართველი მაჰმადიანების თურქეთში გადასახლების შემთხვევები და სომეხთა თურქეთიდან გადმოსახლება. მთლიანად თურქეთში გადასახლებულა კოლათხევის მოსახლეობა; უდესა და ურაველის საზოგადოებებიდან 37 კომლი (თოფჩიშვილი, 1987)

ამრიგად, ნაშრომში მოყვანილი მაგალითები თუ ფაქტები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სომხების არაკეთილმემზობლურ დამოკიდებულებაში, ხოლო რაც შეეხება XIX სს-ში საქართველოში სომხური მოსახლეობის მომრავლებას, ბუნებრივი დემოგრაფიული პროცესი როდი იყო, არამედ იგი იმპერიის ხელისუფლების მიერ საქართველოში ოსმალეთიდან სომეხთა მასობრივი გადმოსახლების შედეგი იყო და ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდა. გადმოსახლებულმა სომეხებმა იმპერიის ხელისუფლების ხელშეწყობით საქართველოს ეკონომიკური სადავეები ხელში ჩაიგდო. მათ ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, სტუმრობა აღარ იკმარეს და საქართველოს დაპატრონება მოინდომეს. სომეხ დიდვაჭართა ეს მისწრაფება კარგად გამოიყენა ცარიზმმა, რომელიც ადგილობრივ სომხურ ბურჟუაზიას ხელს იმიტომ უმართავდა, რომ სურდა ქართველებისა და სომხების წაკიდებით პირველ რიგში ქართველთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გაეტეხა, ხოლო შემდეგ სომხებისათვის “მიეხედა”.

§. 3. სომეხთა ჩამოსახლება ქვემო ქართლში

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში

ქვემო ქართლს სტრატეგიული მდგომარეობა ხშირად ბრძოლისა და მტრის თავდასხმის ასპარეზად ხდიდა და ამის გამო მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალდებულა. საქართველო ბევრი სომეხი ლტოლვილისათვის მეორე სამშობლო იყო. სომეხების გამრავლე და შემცირება ჩვენს ქვეყანაში დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე (ლომსაძე, 1975:342).

როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძღვრდა და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი საზღვარიც საგრძნობლად შეიცვალა, ქვემო-ქართლს ანუ ლორე-ტაშირს – „სომხითს“ საქართველოსთვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს მნიშვნელობა ცხადი გახდა. ეს კუთხე სამხრეთითსგან შემოსულ მტერს უნდა დახვედროდა. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქვემო-ქართლი მართო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მაშინაც თავისი მდებარეობითა და გზებით, მთელი თავისი ქონებრივი ძალღონითაც, ეკონომიერადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ. საქართველო მასთან იყო ჭიდროდ (ჯავახიშვილი, 1919:24–27).

თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა, XVI–XVIII ს-ში შენუხებული იყო გარეშე მტრისაგან, ადვილი წარმოსადგენია რა საშინელ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელიც XI ს-ითგან მოყოლებული საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებული იყო და XVI ს-ითგან მოყოლებული კი სახანოების ქვეშევდომებად ითვლებოდა. აუტანელ მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისგან სომხობა თავისი ქვეყნიდან იყრებოდა, მამა-პაპეულ მიწაწყალს სტოვებდა და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნები და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს. სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდენ

განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა (ჯავახიშვილი, 1919:27–29).

XIX საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში დიდი რაოდენობით ჩამოსახლდა თურქეთიდან სომეხი ლტოლვილები. ეს პერიოდი აღინიშნება საქართველოს ქალაქების საკმაოდ სწრაფი ზრდით, რაც ხელს უწყობდა იათი მუშახელის გარედან მოსვლას (ჯაოშვილი, 1996:287–288).

სომხეთი თანდათანობით იცლებოდა, XVIII საუკუნის ბოლოს სომხეთში მხოლოდ 25 000 სომეხი ცხოვრობდა, დანარჩენი მოსახლეობა არასომხური, მაჰმადიანური იყო. ეჭმიანინის სომხური საკათოლიკოსო ჰაერში გამოკიდებული, რომ არ დარჩენილიყო, ამიტომაც ასახლებდნენ ქართველი მეფეები სომხეთიდან ლტოვილ სომეხებს, ასახლებდნენ კერძოდ ლორე–ტაშირში. საყურადღებოა სომეხი პოეტის ნაყამ იონათანის მაგალითიც. ის აღნიშნავს რომ „ერევანში ჰავა მავნებელია, არის ციებ–ცხელება, წყალი მღვრიეა, ამ ქალაქში არაფერია საქებარი, ყველაფერი ძვირიაო“. ასეთი ვითარების გამო პოეტი თბილისში გამოიპარა (აბდალაძე, 2008:136).

„ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, XVIII საუკუნის მიწურულში ერეკლე მეორემ ნება დართო სამ ყარაბახელ სომეხ მელიქს ჩამოსახლებულიყვნენ თავის ყმებთან ერთად ქვემო ქართლში. თანამედროვე ბოლნისის, თეთრი წყაროს და მარნეულის რაიონების ტერიტორიაზე, მაშინ დასახლდა სომეხთა საკმაოდ დიდი ჯგუფი“ (ჯაოშვილი, 1996:79).

„მეფე ერეკლემ მელიქ აბოვს სათავადოდ უწყალობა ქვემო ქართლის ვრცელი ტერიტორია ბოლნის–დმანისთან და კომპლის გზის დაცვა ვალად დააკისრა. ამის შემდეგ მელიქ აბოვმა თავის ნაწყალობელ სათავადოში გადმოასახლა 700–ზე მეტი ყარაბახელ სომეხთა ოჯახი და დაასახლა ბოლნის–დმანისის მიდამოებში. შემდგომ ისე გაძლიერებულა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავის საგამგებლოდან 1000–მდე მეომრის გამოყვანა შეეძლო. ასევე გადმოასახლეს სომეხები გიორგი XII–ის მიერ ნაწყალობელ მამულებში მელიქ ჯიმშიდმა – აჯიქილისაში და მელიქ ფრიდონმა – უზუნლარში. მელიქ ჯიმშიდმა გიორგი მეფისაგან შემდეგ მიიღო შულავერიც.

სომხების მასიური გადმოსახლება რუსეთ-ოსმალეთის დროს იწყება 1826-28 წლებში, მათი ერთი დიდი ნაწილი ქვემო ქართლში დასახლდა“ (ლომსაძე, 1975:344).

თუ ადრე საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, ამიერთაგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდნენ და მათი დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმის გაკეთებას. ეს უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაა, რომელიც თითქოს სომეხთა საკეთილდღეოთ იყო შედგენილი, მაგრამ, რომლის განხორციელებაც რუსეთს ამიერკავკასიაში მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა. (ჯავახიშვილი, 1919:28-30).

სომხურ-ქართულ უშუალო თანაარსებობას ცარისტული რუსეთის იმპერიამ დაუსვა წერტილი XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ქართლ-კახეთის სამეფო საკუთარი იმპერიის საზღვრებში მოაქცია. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიები, კერძოდ, საქართველოს ქვემო ქართლის ნაწილი, ანუ ლორე-ბამბაკი, რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფით, ცხადია საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, ტფილისის გუბერნიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსით. XIX საუკუნის განმავლობაში სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე განსახლების დინამიკაზე სტატისტიკურ მასალებს გვანვდის ბატონი შ. ვადაჭკორია: „ 1804 წელს ერევნის სახანოდან თბილისში სომეხთა ჩამოსახლებულთა რიცხვი 2000 კაცს უდრიდა. 1809-1811 წლებში მთავარმართებელ ტოლმასოვის დროს, ყარაბაღიდან 428 ოჯახი ბოლნისში ჩამოსახლეს (ჩაჩხიანი, 2007:52-53). 1897 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 1280587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48 609 სული (ჯავახიშვილი, 1919:27-33).

სომეხთა კოლონიზაციას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შ. ლომსაძემ, თავის ნაშრომში მოცემულია ცხრილი რომელიც წინა პარაგრაფში გამოვიყენეთ, საიდანაც ვგებულობთ, რომ 1829-30 თურქეთის ფარგლებიდან ქრისტიან სომეხთა შემოსახლების რაოდენობას, კერძოდ არდაგანიდან მორჩალოს დისტანციაში და წალკის მიდამოებში, აგრეთვე ბამბაკ-შულაგელის დისტანციაში 67 ოჯახი ჩამოსახლეს, ყარსიდან ბამბაკისა და შულაგელის დისტანციაში 2264 ოჯახი. სომეხი

ეპისკოპოსის გეორქას მონაწილობით, ყარსიდან, არზრუმიდან, ბაიაზეთიდან 1830 წელს გადმოსასახლებლად დაძრულა სულ 95 000 კაცი. ბევრ კოლონისტს უცხო გარემოს შეგუება უჭირდა, განსხვავებული მეურნეობისა და შრომის თავისებური ორგანიზაციის გამო. უკან გასახლებას სამი წლის განმავლობაში (1830–1833 წწ.) მასიური ხასიათი ჰქონდა (ლომსაძე, 1975:359–360).

იმპერიის ხელშეწყობით სომეხებმა პირდაპირ იერიში წამოიწყეს საქართველოს სამხრეთის საზღვარზე მდებარე ქვემო ქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ იყო წოდებული, ბორჩალოს მაზრის დემოგრაფიული დაპყრობისათვის. სომეხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკური სულის ჩამდგმელად და მარჯვე განმახორციელებლად ივ. სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც გავლენიან პირად ითვლებოდა. მის დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა ბორჩალოს, ჭავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს. სომეხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფა მოითხოვეს სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ გრაფი ვორონცოვ–დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდნენ, ხოლო მესაიდუმლე მრჩევლად ივ. ხატისოვის შვილი ალ. ხატისოვი იყო, ხოლო ცხოვრების სადავე დაშნაკელებს ეკავათ ხელთ. ვორონცოვ–დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფა–შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1913 წლის 6 ნოემბერსა და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიც სომეხების 6 წარმომადგენელი ყავდათ, ქართველების კი მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო, რადგან ეს მაზრა აღმოსავლეთით და სამხრეთით მთებით არის მორთული და ზამთარში ნამქერების გამოგაუვალე ხდება და ეკონომიურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული, იქ ჰყიდიან თავიანთ მოსავალს და იქვე ყიდულობენ თავისთვის რაც რამე დასჭირდებათ. ტბილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ ეს დადგენილება 1914 წლის 24 იანვარს დაადასტურა 1897 წლის საყოველთაო აღწერის

თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 1280587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48 609 სული (ჯავახიშვილი, 1919:34–35 ჯავახიშვილი, 1998:14).

XIX საუკუნეში საქართველოში ოსმალეთიდან სომეხთა მასობრივი ორგანიზებული გადმოსახლება, ხოლო შემდეგ უწყვეტი სტიქიური მიგრაცია განპირობებული იყო იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ძვრებით, რომელიც მოჰყვა მეფის რუსეთთან საქართველოს მიერთებასა და ბატონყმობის გადავარდნას.

თავი III: ქართული მიწები „დიდი სომხეთის“ ფარგლებში – სომეხთა საუკუნოვანი ოცნების რეალიზების ცდა 1918-1919 წლებში

§. 1. დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში

პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ ეტაპზე – 1917-1918 წლებში – ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ცვლილებები შეეხო რუსეთის იმპერიასაც.

რუსეთში ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები ჯერ კიდევ 1905 წელს დაიწყო, მაგრამ ამ ეტაპზე იმპერიამ შესძლო მისი აღკვეთა. მიუხედავად ამისა, ქვეყანას ძვირად დაუჯდა ფართომასშტაბიანი შიდადაპირისპირების დარეგულირება. რამდენიმე წელში ამას ზედ დაერთო პირველი მსოფლიო ომიც, რომელმაც სამი წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის ცოცხალი ძალების საუკეთესო ნაწილთან ერთად შთანთქა თითქმის მთელი მისი მატერიალური და ეკონომიური რესურსები. უკვე 1916 წლის დასასრულისა, და, განსაკუთრებით, 1917 წლის დასაწყისისთვის, ამ ომის წყალობით, იმდენად შერყეული იყო მთელ რუსეთში ეკონომიური მდგომარეობა, რომ ხელისუფლება გამოუვალ ჩიხში მოემწყვდა და თანდათან დაკარგა კონტროლი სახელმწიფო მმართველობაზე. შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია. მთავრობის მოუქნელმა პოლიტიკამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება და

„თებერვლის ბოლო რიცხვებში რევოლუცია სტიქიურად ერთბაშად შეეჩეხა თვითმპყრობელობას“ (ცენტრარქივი, 1930:8-14).

აჯანყებულებმა პეტროგრადის ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულება დაიკავეს. 27 თებერვალს ქალაქში მეფის ხელისუფლების დამხობა გამოცხადდა. 27 თებერვალს, სალამოსვე, თავდირის სასახლეში შეიკრიბა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც მიიღო რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კონტრრევოლუციის დათრგუნვისა და ძალაუფლების განმტკიცებისათვის. რევოლუციის დღეებში პეტროგრადში IV სახელმწიფო სათათბირომ ჩამოაყალიბა დროებითი კომიტეტი როძიანსკოს მეთაურობით. კომიტეტმა სასწრაფოდ მოსთხოვა ნიკოლოზს უარი ეთქვა ტახტზე თავისი ვაჟის სასარგებლოდ. ნიკოლოზი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. 2 მარტს ნიკოლოზმა ხელი მოაწერა ისტორიულ საბუთს ტახტიდან გადადგომის აქტს. აქტის თანახმად ტახტი მის ძმას მიხეილს გადაეცა. 2 მარტს პეტროგრადში შეიქმნა დროებითი მთავრობა. ასე, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დამყარდა ორხელისუფლებიანობა. ამის შენარჩუნება კი დიდხანს შეუძლებელი იყო (სინ, 1972:399-402).

გაზეთ „საქართველოში“ ვკითხულობთ: იმ პოლიტიკურ ქარიშხალს, რომელიც საკვირველის სისწრაფით მოედო მთელს რუსეთს, სამართლიანად უნდა დაერქვას „უსისხლო, სწრაფი რევოლუცია“ („საქართველო“, 1917, №62:3).

თბილისში მყოფმა კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვმა უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროს გენერალ ალექსეევისაგან 28 თებერვალს მიიღო პირველი დეპეშა პეტროგრადში რევოლუციის დაწყების შესახებ. 29 თებერვალს მეფისნაცვალის თანაშემწის გენერალ ორლოვის ხელმოწერით კავკასიის გუბერნატორებს დაეგზავნა დეპეშები. მეფისნაცვალი გუბერნატორებს ავალებდა წესრიგის დაცვას, დემონსტრაციებისა და ექსცესების თავიდან აცილებას (სინ, 1972:404). პეტროგრადში რევოლუციის გამარჯვების შესახებ ქართველმა მენშევიკებმა, საკუთარი არხებით, ადრევე მიიღეს ცნობა და სცადეს ამ ვითარების სათავისოდ გამოყენება. ისინი სწრაფად ეახლნენ მეფისნაცვალს და

შესთავაზეს თავიანთი სამსახური ახალი მართვა-გამგეობის მოწყობის საქმეში (ხაჭაპურიძე, 1940:173).

თბილისი ამ პერიოდში წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ცენტრს. ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომისთანავე რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, რუსეთში დიდი პოპულარობისა და ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქართველმა სოციალ-დემოკრატმა (მენშევიკმა) ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ თავისთან იხმო გიორგი (გოგიტა) ფალავა და ტელეგრაფში თბილისში გადასაცემად გაატანა დეპუტის ტექსტი. კონსპირაციის მიზნით, დეპუტის ტექსტში ქართული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაწერილი: “მთავრობაძე გარდაიცვალა. შეატყობინეთ ნათესავეებსა და ახლობლებს” – სწორედ ამ ტელეგრაფით გაიგეს თბილისში რომანოვების იმპერიის აღსასრული (გურული, 2011).

მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც მეფისნაცვალს წარმოედგინა. იგი ფიქრობდა, რომ პეტროგრადში რევოლუციურ მოძრაობას მალე ჩაახშობდნენ და მონარქია თავის უფლებებში აღდგებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რევოლუციის გამარჯვების ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. ამ პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოში სუსტი იყო, რაზეც კარგად მეტყველებს გაზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნებული ფ.მახარაძის სტატია. “ბოლშევიკებს ჩვენში იშვიათად შეხვდებოდით, – წერს იგი, – თითო-ორი აქტიური ამხანაგი ჩვენს წრეშიაც მოიპოვებოდა, და აი პირველი ცნობის მიღებისთანავე ჩვენი პატარა ჯგუფი გაექანა მუშებისაკენ, წინადადება მივეცით აერჩიათ მუშათა დეპუტატების საბჭო. მეორე დღეს 2 მარტს შევიკრიბეთ იმავე ოთახში. მენშევიკების უმთავრესი ბელადები არც პირველ და არც მეორე კრებაზე არ გამოჩენილან. როცა საბჭო ოფიციალურად უნდა შესდგომოდა თავის მოქმედებას, ამ დროს კრებაზე გამოცხადნენ ნ. უორდანი, ს. ჯიბლაძე და ნ. რამიშვილი, მოსვლისთანავე ატეხეს სკანდალი, ის კრება, რომელსაც მე თავჯდომარეობდი, დახურულად გამოაცხადეს, იგივე კრება ღამის 2 საათზე გადატანილ იქნა სახალხო სახლში. აქ უკვე კრების სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა ნ. უორდანი, ნ. რამიშვილი და ძმანი მათნი” (“კომუნისტი”, 1921, №10:3).

როგორც ცნობილია, მენშევიკები რევოლუციის წინ ლეგალურად ცხოვრობდნენ. მათი ლიდერების უმრავლესობა ამ დროს თბილისში იყო თავმოყრილი. ამიტომ არ გაუჭირდათ ბოლშევიკებისთვის ხელიდან გამოეგლიჯათ საბჭოების შექმნის ინიციატივა და მათ შემადგენლობაში თავიანთი კანდიდატები გაეყვანათ. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც 4 მარტს შეუდგა მუშაობს, უმეტესად მენშევიკი ხელმძღვანელი მუშებისაგან შესდგებოდა (სინ, 1972: 405-408).

როგორც კი ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადადგომის ამბავი შეიტყო, მეფისნაცვალმა თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქისთავი ა. ხატისოვი, ასევე პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმომადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა მასთან შეკრებილთ ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე (გურული, 2011).

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების ცნობამ მალე კავკასიის არმიაშიც შეაღწია. ჯარისკაცები, მშრომელებთან ერთად, საზეიმო მიტინგებისა და დემონსტრაციების აქტიური მონაწილენი გახდნენ. ოფიცერთა ხელისუფლებას ჯარისკაცები აღარ ცნობდნენ. საგარნიზონო საბჭოს შექმნისათვის დაიწყო დელეგატთა არჩევნები. 6 მარტს თბილისში შედგა ქალაქის საგარნიზონო სადელეგატო კრება. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებშიც უმრავლესობა მენშევიკ-ესერებმა მოიპოვეს. 6 მარტს არჩეული იქნა აღმასრულებელი ბიურო 15 კაცის შემადგენლობით. ხატისოვი დეპუტატთა აუწყებდა ამიერკავკასიის ქალაქებს: “თბილისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა აღმასრულებელი კომიტეტი... კომისრებად არჩეული არიან... ნ. ჟორდანიას, ქალაქისთავი ხატისოვი და ოფიცერი პოპოვი”-ო (სინ, 1972:409-411).

ამ დროისათვის ბოლშევიკების წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა – მათ უნდა ეწარმოებინათ აქტიური ანტი-მენშევიკური ახსნა-განმარტებითი მუშაობა ხალხის ფართო მასებში. აგიტაციის შედეგად, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია მიუთითებს, „მუშები და ჯარისკაცები მტკიცედ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ვიდრე ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელშია,

ხოლო საბჭოებში გაბატონებულია მენშევიკები და ესერები, ჩვენს ქვეყანაში არ მოისპობა ნაციონალური ჩაგვრა“ (ხაჭაპურიძე, 1940:175). ასეთი ქმედებები ბოლშევიკებს სჭირდებოდათ ხალხის მასების გადასაბირებლად და საკუთარი სუსტი პოზიციების განსამტკიცებლად. უნდა ითქვას, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა ეს ამოცანა საკუთარი ძალებით ვერ განახორციელეს.

პირველ ეტაპზე ქართული პოლიტიკური პარტიები იმპერიაში შექმნილი მდგომარეობის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის გამოყენებას არ ჩქარობდნენ. თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატებმაც კი ვერ შესძლეს ვითარებაში გარკვევა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით ისარგებლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ (თავმჯდომარე გიორგი ლვოვი) და კავკასიის სამეფისნაცვლოში დანიშნა ხელისუფლების თავისი სამხარეო ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი (გურული, 2011).

ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტი (ოზაკომი) დაკომპლექტდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კავკასიელი დეპუტატებით. ოზაკომის თავმჯდომარედ დანიშნა კადეტი ვ. ხარლამოვი. ოზაკომის ქართველი წევრები იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. მალე კიტა აბაშიძე მენშევიკმა ა. ჩხენკელმა შეცვალა (<http://www.bu.org.ge/x2254>). ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ შემდეგს წერდა: „კავკასიის სოციალ-დემოკრატები, რომელთაც მხოლოდ თავის თავი მიაჩნდათ რევოლუციონერებად და ახალი მთავრობის ჭეშმარიტ მოადგილედ – აღელვებულნი არიან. როდესაც დროებითი მთავრობა კომისარებს ნიშნავდა, ჩვენ არავითარი პრეტენზია არ განგვიცხადებია და არაფერი მოგვითხოვია. თუ აკაკი ჩხენკელს დანიშნავდნენ გვესიამოვნებოდა. დროებითმა მთავრობამ კი კომისარად კიტა აბაშიძე დანიშნა. მაგრამ რაღაც გაუგებრობის მიზეზით გადააყენეს და აკაკი ჩხენკელი დანიშნეს. პროტესტი განვაცხადეთ იმ უნდობლობა-შეურაცყოფის გამო, რომელიც ხსენებულ ფაქტშია. როდესაც დანიშნულ კაცს ცვლიან, რაიმე მიზეზი მაინც დასახელებულიყო“ („საქართველო“, 1917, №62:1-2).

ამიერკავკასიის ცხოვრებაში ოზაკომმა დიდი ვერაფერი ცვლილება ვერ შეიტანა. მის მიერ შექმნილ დაწესებულებებს პრაქტიკული ღონისძიებები არ გაუტარებიათ და მხოლოდ მსჯელობებით შემოიფარგლებოდნენ. მენშევიკური გაზეთი “ერთობა” აღნიშნავდა, რომ „ოზაკომმა არა თუ ხელუხლებელი დატოვა მეფისდროინდელი დაწესებულებები, არამედ ძველ ბიუროკრატიულ მექანიზმს კიდევ ახალი დაუმატა და საქმე არივ-დარია“-ო (სინ, 1972:429).

მაღე, 1917 წლის აპრილის დამდეგიდან, თბილისში ფუნქციონირებას დაიწყო ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახმა – „საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეებთან სწორედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო იდგა (<http://www.bu.org.ge/x2254>).

პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით მონვეულ იქნა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები, რომლებზეც წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს არც პირველ და არც მეორე კრებაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. თუმცა, ინტერპარტიულ საბჭოში იყო აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობის დელეგატები აერჩიათ ინტერპარტიული საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ეროვნული ყრილობა სავსებით უფლებამოსილი იქნებოდა ყოფილიყო ქართველი ერის ბედის გამგებელი, როგორც დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ორგანო. მაგრამ, სხვადასხვა მოსაზრების გამო, ინტერპარტიულ საბჭოს საარჩევნო კანონი აღარ მიუღია და საქართველოს ეროვნული ყრილობის მონვევა თავს იღო უშუალოდ ინტერპარტიულმა საბჭომ (<http://www.bu.org.ge/x2254>).

14 მაისს შედგა თბილისის ბოლშევიკების საერთო საქალაქო კრება, რომელზეც ფილიპე მახარაძემ და მიხა ცხაკაიამ თბილისელ ბოლშევიკებს დაწვრილებით განუმარტეს რევოლუციის ლენინური პროგრამა და დააყენეს საკითხი მენშევიკებთან გათიშვის აუცილებლობის შესახებ (ბოლშევიკები და მენშევიკები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი ფრთა იყო). ამავე კრებამ 4 ივნის მიიღო გადაწყვეტილება მენშევიკებთან სრული გათიშვისა და და დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ მათ შორის დაპირისპირების გაძლიერება გამოიწვია (სინ, 1972:439-443).

1917 წლის 2 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების I ყრილობა. ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ლენინს. ამ მისალმებაში გამოთქმულა მტკიცე რწმენა, რომ “უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციით... შესაძლებლობას შეუქმნიან ლენინს დაიკავოს რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტი” (ხაჭაპურიძე, 1940:178-179). მისალმების ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ქართველი ბოლშევიკები საქართველოს მომავალს ბოლშევიკური რუსეთის შემადგენლობაში ხედავდნენ.

1917 წლის 25 ოქტომბერს, “ავრორას ქუხილმა” მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ რუსეთის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო (სინ, 1972:515).

ქართულ პრესაში ბოლშევიკური გადატრიალების შესახებ პირველი ცნობები ნოემბრის დასაწყისში გაჩნდა. 2 ნოემბერს გაზეთი “საქართველო” წერდა: „რამდენიმე დღეა, რაც ჩვენი ქვეყანა მონყვეტილია რუსეთზე, არ ვიცით რა ხდება პეტროგრადში. ვიცით მხოლოდ, ბოლშევიკებმა ზარბაზნებისა და თოფების საშუალებით აიღეს საზამთრო სასახლე“-ო (“საქართველო”, 1917, №242:1).

იგივე გაზეთი სხვა ნომერში მიუთითებდა, რომ „გაუთავებელი ომით გაბრაზებული ჯარის აჯანყებამ დაანგრია რუსეთის იმპერია. რუსეთი იმდენ სახელმწიფოდ დაიყო, რამდენი სახელწოდებაც ჰქონდათ რუსთა ძველ მეფეებს“ (“საქართველო”, 1917, №254:2).

რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – ოზაკომმა. 19 ნოემბერს გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, თბილისში შეჩერდა ოზაკომის, იგივე ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მუშაობა. მოყვანილია ოზაკომის საგანგებო სხდომის დადგენილება ამ ორგანოს გაუქმების შესახებ: “რადგან პეტროგრადთან და დროებით მთავრობასთან ურთიერთობა შეწყდა, შესდგა ამიერ კავკასიის საოლქო მთავრობა. დავადგინეთ: მხედველობაში ვიღებთ პოლიტიკური მომენტის მძიმე პირობებს, აგრეთვე გაუქმებას რუსეთის ცენტრალური მთავრობისა, რომლის წრმუნებითაც ჩვენ ვმოქმედებდით და ჩვენ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრებმა დავადგინეთ ხელი ავიღოთ ჩვენს თანამდებობაზე, ვინაიდან შესდგა ამიერკავკასიის საოლქო ახალი მთავრობა. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი: ჩხენკელი, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი” (“საქართველო”, 1917, №256:3).

ყველასათვის ცხადი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა შეეცდებოდა თავისი ძალაუფლება გაეგრძელებინა ამიერკავკასიაზე. ამ ვითარებაში, 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – ამიერკავკასიის კომისარიატმა. ამიერკავკასიის კომისარიატს ევგენი გეგეჭკორი თავმჯდომარეობდა. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურდათ წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას (სინ, 1972:544).

კავკასიის კომისარიატმა 15 ნოემბრის თარიღით შემდეგი ბრძანება გამოსცა: “კავკასიის კომისარიატს ენიჭება სრული სახელმწიფოებრივი უფლება-მოსილება ამიერკავკასიის საზღვრებში. ხსენებულ კომისარიატს ემორჩილებიან ყველა სამთავრობო დაწესებულებანი და ამიერკავკასიის სხვა და სხვი მოხელენი” (“საქართველო”, 1917, №255:3). ამიერკავკასიის კომისარიატი, თაქტობრივად, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა იყო (ავალიშვილი, 1924:44).

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოში გაიზარდა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის სურვილი. ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით მონვეული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც თავჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი. ყრილობა 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. ყრილობაზე თითქმის ერთხმად მოიწონეს “საქართველოს გამოყოფა რუსეთის იმპერიისაგან”. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას გახდა. 20 ნოემბერს ჟორდანიამ ინტერპარტიული საბჭოს დავალებით ყრილობაზე მოხსენება გააკეთა. მოხსენების თემა იყო “მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა”. მოხსენების შემდეგ ყრილობას უნდა მიეღო რეზოლუცია. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის რეზოლუცია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა, ამიტომაც რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით ყრილობამ შექმნა ეროვნულ-პოლიტიკური სექცია. ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ, ეროვნულ-დემოკრატიების წინააღმდეგობის მიუხედავად, პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია მართებულად მიიჩნია. იგივე დაადასტურა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამაც (<http://www.bu.org.ge/x2254>). 1917 წლის 21 ნოემბერს ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც თავჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიას, ხოლო მოადგილედ – აკაკი ჩხენკელი (სეფიაშვილი, 2018:3)

“საქართველოს მომავალი ბევრად იყო დამოუკიდებელი იმაზე თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთსა და მსოფლიოში. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არც მალავდა თავის მტრულ დამოუკიდებულებას ქართული ეროვნული მოძრაობისადმი. სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომის პირობებში ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს ჯეროვან დახმარებას ვერ უწევდნენ. ეს აშკარად გამოჩნდა 1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ) დიპლომატთა და სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტის დროს. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეხვედრისას ევროპელმა დიპლო-

მატებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარს ვერ დაუჭერდნენ, ხოლო ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში ქართველებს ვერც შეიარაღებით და ვერც ფულით ვერ დაეხმარებოდნენ” (გურული, 2011).

1918 წლის იანვარში საბჭოთა რუსეთმა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი სამხედრო ძალით სცადა საქართველოს ოკუპაცია. ახლადშექმნილმა ჯარმა რუსეთის ჯარები სასტიკად დაამარცხა. გარდა ამისა, თავის აგრესიულ ზრახვებს ამიერკავკასიის მიმართ არ მალავდა ოსმალეთიც. იგი თავის სასარგებლოდ იყენებდა იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა და მას მიიჩნევდა რუსეთის ნაწილად. თურქებთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად საჭირო გახდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვის ე.წ. „ამიერ-კავკასიის სეიმი“, რომელსაც მართვა-გამგეობა გადააბარა (სეფიაშვილი, 2018:3). სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელშიც შედიოდა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ჩამოყალიბდა მთავრობა ა. ჩხენკელის მეთაურობით (ხაჭაპურიძე, 1940:188).

როგორც ოთარ ჯანელიძე მიუთითებს, „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმები იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი. ამ დროს შექმნილმა პირობებმა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებისათვის ცხადჰყვეს, რომ საჭირო იყო შეცვლა მიღებულ პოლიტიკურ გეზისა და ამიერ-კავკასიის შემადგენელ ელემენტებისაგან შემზადება ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მომავალში ამიერ-კავკასიას და შეიძლება მთელ კავკასიასაც კონფედერაციად გარდაჰქმნიდა“ (ჯანელიძე, 2018:26).

ამ დროს ამიერკავკასიის ხელისუფლების წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი პრობლემა და ეს იყო ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი. შეტევაზე გადმოსულ თურქეთის არმიას ახლადჩამოყალიბებული ქართულ-სომხური რაზმები ვერ აკავებდნენ, აზერბაიჯანმა კი უარი განაცხადა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

სეიმის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ დეპუტატებს შორის მუდმივად უთანხმოება სუფევდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართველებმა ორიენტაცია ოსმალეთის მოკავშირე გერმანიაზე აიღეს. გერმანიის ჩარევის შედეგად საქართველო გადაურჩა ფართომასშტაბიან თურქულ ოკუპაციას და თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით (ანჩაბაძე, 2005:22). ამიერკავკასიის რესპუბლიკამ ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად დაიშალა.

საინტერესო ცნობაა დაცული ზურაბ ავალიშვილის მოგონებაში, რომელიც 22 მაისის მოვლენებს შეეხება. “დავწერე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სავარაუდო პროექტი – დროა დავაზუსტოთ, ვიმოქმედოთ. ჩხენკელმა, ნიკოლაძემ, ჟორდანიამ, სურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ თან წაიღო ეს პროექტი თბილისში” – იგონებს ზ. ავალიშვილი (ავალიშვილი, 1990:80).

1918 წლის 24 მაისის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ ჩამოაყალიბა კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება და კომიტეტში წარმოდგენა. 25 მაისს გამართული ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ სხდომის მონაწილეთა ერთი ნაწილი დამოუკიდებლობის გამოცხადებას იმავე დღისთვის ითხოვდა, აღმასრულებელი კომიტეტის ზოგირთი წევრი კი საამისოდ 26 მაისს ამჯობინებდა. კენჭისყრისას უმეტესობამ მხარი დაუჭირა სუვერენიტეტის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიას აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე აუცილებელი იყო ამიერკავკასიის სეიმის მონწევა, რომელიც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას და სეიმის თვითლიკვიდაციას დაადასტურებდა. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ ბოლომდე შემუშავებული არ ჰქონიათ, რამაც მისი გამოცხადების მეორე დღისთვის გადადება თავისთავად გამოიწვია (ჯანელიძე, 2018:9).

“26 მაისს, სეიმის დაშლის დღეს, იმავე შენებოში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის ყოფილი ელჩი და ახლა ჯარების უფროსი გრაფი შელენბურგი თავისი ოფიცრებით, თბილისის

მიტროპოლიტი ლეონიდე და ქართველი ოფიცრობა. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ეს წუთი მონათლა “ტრაგიკულ, მაგრამ ქართველი ერისათვის ისტორიულ აქტად”, როცა “მოკვდა ერთი სახელმწიფო და ამავე დარბაზში საფუძველი ეყრება მეორე სახელმწიფოს” (სინ, 1972:433). გაზეთ “საქართველოს” 31 მაისის ნომერში ვკითხულობთ: “საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულით შეეგებნენ საქართველოში მცხოვრები უცხო ეროვნებისა და აგრეთვე ჩვენი მახლობელი და შორეული მეზობლები... გამონაკლის სომხობა შეადგენდა, მათ არ მიულოცეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა” (“საქართველო”, 1918, №105:1). გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 28 მაისს აღიარა (“ჩემი სამყარო”, 2014, №3:71).

ორი დღის შემდეგ, 28 მაისს, თბილისში სომხეთის ცენტრალური ნაციონალური საბჭოს წევრებმა, „სომხეთიც „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადეს და ამავე დღეს დედაქალაქში აღმოცენდა აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკაც. სამ დღეში სამი სახელმწიფო დაფუძნდა დედაქალაქში“ (ჯანელიძე, 2018:30).

“საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური იყო, თუმცა მის შემადგენლობაში ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). ამ პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანიას (1868-1956) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა“ (ანჩაბაძე, 2005:23).

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ „სუვერენული სახელმწიფო აზერბაიჯანის სახელწოდებით რუკაზე პირველად გაჩნდა, საქართველომ და სომხეთმა კი თავიანთი ისტორიული ავტონომიით დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინეს. განსხვავებული წარსულისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მიუხედავად, სამივე სამხრეთკავკასიურმა სახელმწიფომ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ფორმად რესპუბლიკა, ხოლო შინაარსად – დემოკრატიული რეჟიმი აირჩია“ (ჯანელიძე, 2018:30).

დამოუკიდებლობის აღდგენას, ეროვნული სახელმწიფოებრიობის განახლებას კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა და ეროვნულ-პოლიტიკური ძალა. 26 მაისი საქართველოში ეროვნულ ზეიმად იქცა და მთელი

ქვეყნის მასშტაბით აღინიშნა. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას პარაკლისი უძღვნა საქართველოს ეკლესიამ, რომლის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წ. 12 მარტი) წინ უსწრებდა ქვეყნის სუვერენიტეტის გამოცხადებას.



სატარაველოზს დამოუკიდებლობა

სატარაველოს დამოუკიდებელი კრება — ამჟამად პირდაპირა, თანაწირა, სეკულარია, ფარული და პრა-
პრაგმატიკული საბრძოლო სისტემის ირრრ სტრატეგია მერ-თავის პირველხვე სხვიანზე
1919 წ. მარტის 12-ს, კერძისა და ისტორიის წიხამ აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს
სატარაველოს ერთეულ სახეს მერ 1918 წ. მაისის 26-ს, სამუდგევის 5 ხ. და 10 წ. თბილისში გა-
მოცხადებულ სატარაველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

სატარაველოზს დამოუკიდებლობის აქტი

„მთელ სავსებით კანონიერ სატარაველო ძალებს, მათს დამო-
უკიდებლობას სავსებით“
„ერთხელ სავსებით დამოუკიდებელი მთელ მერსად მერსად
სატარაველო აქტის სავსებით მერსად იმ სხვისად, მამ მერსად ვინა-
ვიდა ათ სატარაველო კარს მერსად აქტს“
„მერსად ვინა მერსად მერსად მერსად აქტის სავსებით წი-
ხამ სავსებით, მამ მთელ სხვისად ერთად სავსებით დამოუკიდებელი და მერსად
ერთად მერსად მერსად“
„ერთად მამ აქტის სავსებით მამ, სატარაველო და მამ-ის ერთად მერ-
სად აქტის აქტის აქტის სავსებით სავსებით და სავსებით და მ-
თელს იმერსად სავსებით, მერსად კარს მთელ სავსებით მერსად
ერთად მერსად აქტის დამოუკიდებელი და მამ მერსად მამ-ის სავსებით
სავსებით“
„ერთად ერთად მთელ მერსად აქტის სავსებით მამ, მამ
სავსებით სავსებით — მთელსად იმერსად სავსებით მამ სავ-
სებით კარს მამ-ის სავსებით აქტის კანონის და დამოუკიდებელი
კანონის შემდეგ“
„მთელ მთელსად მთელსად ერთად სავსებით 1917 წლის მერსად 26-ს
მთელსად სატარაველოს ერთად ერთად სავსებით აქტის აქტის“

- 1) მთელსად სატარაველო მთელ სავსებით ვინა მერსად მამ-ის და
სატარაველო სავსებით დამოუკიდებელი სავსებით
- 2) დამოუკიდებელი სატარაველო სავსებით სავსებით ერთად მერსად მამ-ის
მთელსად
- 3) სავსებით მთელსად სატარაველო მთელ, ერთად მთელ
მთელსად
- 4) სატარაველოს ერთად მთელსად მთელსად მთელსად ერთად
მთელსად ვინა სავსებით ვინა მთელსად მთელსად კანონის
და მთელსად მთელსად და მთელსად
- 5) სატარაველოს ერთად მთელსად მთელსად აქტის სავსებით მთელსად
ერთად მთელსად ვინა მთელსად მთელსად და მთელსად მთელსად
ერთად მთელსად მთელსად
- 6) სატარაველოს ერთად მთელსად მთელსად ერთად მთელსად მთელსად
მთელსად მთელსად მთელსად მთელსად ვინა
- 7) დამოუკიდებელი მთელსად მთელსად მთელსად სატარაველოს
სავსებით მთელსად ერთად მთელსად მთელსად აქტის ერთად მთელსად
მთელსად მთელსად მთელსად და ერთად მთელსად მთელსად მთელსად
მთელსად

Handwritten signatures and names in Georgian script, organized in columns, likely representing the signatories of the declaration of independence.

§. 2. სომხური პოლიტიკური წრეების აგრესიული გეგმები ქართულ მინებთან დაკავშირებით

გარკვეული მიზეზების გამო, რასაც წინა პარაგრაფებში შევხებით, საქართველოში დიდი ხნის წინ დამკვიდრდა სომხური მოსახლეობის ნაწილი და დღესაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე დავის საფუძვლებს, ძირითადად, ტერიტორიული საკითხი წარმოადგენს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ, 1801 წლიდან მოყოლებული, ქართული სამეფო-სამთავროს ანექსია მოახდინა, თავისი პოზიციების გასამყარებლად, საქართველოში ასახლებდა თურქეთიდან ლტოლვილ ქრისტიანებს, ძირითადად სომხებს. სომხები სტიქიურადაც მოდიოდნენ და სახლდებოდნენ ქართულ მინებზე. XX საუკუნის დასაწყისისთვის ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა) და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში (ბორჩალოს მაზრა) სომხები უკვე მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ამავდროულად, კვლავ გრძელდებოდა მათი მასობრივი გადმოსახლება საქართველოში.

სომხური ინტელიგენციის ნაწილს და რადიკალურად განწყობილ ნაციონალისტურ ჯგუფებს გაუჩნდათ პრეტენზია ქართულ რეგიონებზე. სომხებმა მიზანმიმართულად აიკვიატეს, რომ უნდა არსებულიყო ეგრეთ წოდებული „დიდი სომხეთი“, რომელსაც მთელი კავკასია უნდა მოეცვა. ამ მხარეების "სომხურობის" დასამტკიცებლად, ერთი მხრივ დაიწყეს ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება და სომხურად გამოცხადება, საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დაკნინება, მეორე მხრივ კი გააჩაღეს ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, რომლის მიზანი იყო, როგორც საკუთრივ სომხების, ისე უცხოელების დარწმუნება, რომ ამ რეგიონებში სომხები ავტოქთონები იყვნენ და არა ახალმოსახლეები (<https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/marxulidashnakcutuni/>).

ილია ჭავჭავაძემ 1899 წელს დაწერა "სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი", რომლის დაწერის მიზეზი სწორედ ქართველ-სომეხთა შორის ურთიერთობის გამწვავება იყო. ილია ამხელს სომეხთა განზრახვას და მათ ტყუილს, რომ „სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქელს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავებამდე, თითქმის შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ეგრედწოდებული არმენიაა“. ილია საქართველოს მიმართ სომეხთა უსაშველო პრეტენზიების მიზეზად თავის თანამედროვე ქართველებში ეროვნული იდეის დაკნინებას მიიჩნევს. "ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღონედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც ვნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვექლავს და მინასთან გვასწორებს" – წერს იგი გულისტკივილით. ილიას სიტყვებით ქვებიც კი ღალადებდა სომეხთა მეცნიერების სიყალბეზე. თუმცა, სომხური წრეები ცდილობდნენ, მიზნის მისაღწევად საუკუნეებს გადარჩენილი საბუთების განადგურებას. „ამ გუნდმა კარგად იცის, რომ რაც ვინდა დამალო, დღესა თუ ხვალე გამომჟღავნდება და თავისას გაიტანს. დრო იქნება, როცა ისტორიული ნაშთები და სახსოვარები თავისას იტყვიან“, თუმცა, სომეხთა მეცნიერნი მაინც თავისსას იძახიან და ბინას იქ იკეთებენ, სადაც არ ჰქონიათ (ჭავჭავაძე, 1899:1-8).

სომხების მზარდმა ამბიციებმა, თანდათან, მათ მფარველ იმპერიასაც კი შეუქმნა დისკომფორტი. „სომხებისათვის მთავრობის ხელშეწყობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ეკონომიკური ცხოვრების სადავეები სომეხი ვაჭრების ხელში აღმოჩნდა და რუსული კაპიტალის ინტერესებსაც კი დაუპირისპირდა, რის გამოც XIX ს-ის 70-80-იანი წლებიდან მთავრობა ცდილობდა უკვე ზღვარი დაედო ამიერკავკასიაში სომხური კაპიტალის შემდგომი გაძლიერებისათვის" – წერს პ. გუგუშვილი (გუგუშვილი, 1979:339).

„დიდი სომხეთის“ აღდგენის მიზნით კი XIX ს-ის II ნახევრიდან იწყება სომხური ნაციონალისტური პარტიების დაარსება. თბილისში 1890 წელს შეიქმნა „დაშნაკცუთუნი“, სრული სახელწოდება „სომეხ რევოლუციონერთა კავშირი“. დაშნაკების მიზანი იყო „დიდი სომხეთის“ შექმნა „ზღვიდან ზღვამდე“. სომხეთის ასეთი სახელმწიფოს შექმნა კი შეიძლებოდა მხოლოდ მეზობელი

ხალხების ტერიტორიების ხარჯზე. თავიანთი ეროვნული მიზნის განხორციელებისათვის სომხები არაფერს არ ერიდებოდნენ. სხვა ერებში შეუმჩნევლად დამკვიდრებისათვის ისინი ფორმალურად იღებდნენ რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ გვარებს. დასახული მიზნის განხორციელებისათვის დაშნაკებს სჭირდებოდათ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა, რასაც პრესის საშუალებით ცდილობდა. “დაშნაკუთუნმა” შექმნა პრესა, რომელიც გათვალისწინებული იყო პრაქტიკულად ყველა მკითხველისათვის. ყველა მკითხველს პროსომხური იდეები და მასალები შესაბამისი “შეფუთვით” მიეწოდებოდა (<https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/marxulia-dashnakcutuni/>).

თბილისში გამოძავალი სომხური პრესა, ტერიტორიებთან ერთად, ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ეროვნულობასაც სადავოდ ხდიდა და მას სომხურ ეთნოსს აკუთვნებდა. ამით ქართული ტერიტორიების მიმართ სომხური პოლიტიკური წრეების პრეტენზიების განმტკიცებას ცდილობდა. ასეთი მოვლენების ზ. ჭიჭინაძე გულისტკივილით წერდა: „სომხეთს შუაგულ ქართლიდამ სთვლიან, სადაც სომეხთა ხსენება არასდროს არ ყოფილა, სომეხთ მწერალნი სომხურ კარტებზედ საქართველოს არმენიას აწერენ, წიგნებშიც ასევე, ლაპარაკშიაც თამამად ამტკიცებენ. ზოგიერთი სომხის სწავლულნი იმასაც გაიძახიან, რომ მთელი კახეთი დიდი სომხეთის ნაწილს შეადგენსო და იქ მცხოვრები ქართველნიც მთლად სომხის შთამომავალნი არიანო. ამაზედ ბევრს გზის კამათიც ყოფილა. ეს დღესაც ხშირია და ევროპაში სომხის სწავლულნი არამც თუ კახეთს ჰხევენ ხელს, არამედ სამხრეთ საქართველოსაც არმენიად აღიარებენ” (ჭიჭინაძე, 1904:34).

დაშნაკთა პრეტენზიებს საქართველოს ტერიტორიების მიმართ რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკის აგრესიული ხასიათიც განაპირობებდა, რომლის შედეგად საქართველოს განაპირა მხარეებსა და მის მახლობლად სომხური მოსახლეობა გამუდმებით იზრდებოდა. დაშნაკებმა მალე მოქმედების არეალი გაზარდეს. „დარწმუნებულები იმაში, რომ დიდი სახელმწიფოები მათ დაეხმარებიან... თავიანთ მოთხოვნებს ისინი ყოველთვის უზომოდ გაზრდილად აყენებდნენ” (ჩაჩხიანი, 2007:90).

ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყო და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაბეჩავებული თავიანთი თანამოქმეთა მართო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმების მიზნითაც. გაბნეული სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები არჩეული: სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმბრთან შეერთება მოითხოვეს გუმბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად„ (ჯავახიშვილი, 1998:14).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაც ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო კი სომხეთის ხელისუფლება მის დასაპატრონებლად ყოველგვარ ხერხს მიმართავდა. ოფიციალურად კი დავა მაშინ დაიწყო, როცა ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და მასში შემავალმა სუბიექტებმა დამოუკიდება გამოაცხადეს (ვადაჭკორია, 2008:30).

ილია წერს: „განა ჩვენთვის სანატრებელია ესეთი დაქსასულობა სომხებისა. ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან, ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შემკობას” (ჭავჭავაძე, 1899:55).

სომეხთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კულტურული ექსპანსიის შტრიხები კარგად აქვს შეფასებული რუს ისტორიკოს ვ. ველიჩკოს: „სომხები ხელიდან არ უშვებენ საშუალებას, რომ პარაზიტული საშუალებებით წარმოაჩინონ თავისი ისტორიული დამსახურებები, თან ისე, რომ ჩირქი მოსცხონ მეზობლად მცხოვრებ ხალხებს. ისინი ქართველებს ყოვლად უნამუსო წესით ძარცვავდნენ” (ჩაჩხიანი, 2007:44).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რომ უარყოფითად შეხვდა სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილი, ამას ადასტურებდა ნოე უორდანიაც. თავის

მოგონებებში იგი წერდა: „სომხები იყვნენ დიდათ უკმაყოფილო თბილისის გაქართველებით, საქართველოს დედაქალაქად გადაქცევით. მათ ეს ქალაქი თავის უღაწო ქალაქად მიაჩნდათ დიდი ხანია, მეცხრამეტე საუკუნის დაწყებიდან, სადაც მართლა სომხების მოსახლეობა სჭარბობდა ქართველებისას. რუსი ბატონობდა პოლიტიკურად, სომხები ეკონომიკურად. რუსი წავიდა, ქალაქი სომხებს უნდა დარჩენოდათ. არავითარ მოლაპარაკებაზე არ მოდიოდნენ და რალაცას უცდიდნენ, უცდიდნენ თურმე ინგლისის მოსვლას” (ყორდანი, 1990:92-93).

ყორნალი „ჯარი და ერი” ზემოთ თქმულთან დაკავშირებით შემდეგს გვამცნობს: „ისეთი მოუსვენარი ნაციონალიზმი, როგორც სომხურია, არსად გაგონილა. იგი არაფერს უწევს ანგარიშს: არც დროს და არც პოლიტიკურ პირობებს და ერთნაირად თავხედურად ილაშქრებს ყველაზე. ინგლისი – აი ის სახელმწიფო, რომლისგანაც სომხეთი თვის უფლებათა აღდგენას მოეღოს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენი გულისთვის ინგლისი არავის გადაასახლებს თავის ქვეყნიდან” („ჯარი და ერი”, 1918, №2:2).

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი აღმოჩნდა. სომხეთის მთავრობამ ქართულ მხარეს შეახსენა, რომ 1917 წელს პეტროგრადში ამიერკავკასიის სამხარეო კონვენციის მსვლელობისას ქართველი სოციალისტები დაჰპირდნენ მთელი რიგი ადმინისტრაციული საზღვრების გადახედვას ეთნიკური პრინციპის შესაბამისად. ამრიგად, 1918 წლის შემოდგომაზე საქართველოსა და სომხეთს შორის არ არსებობდა თანხმობა ორი მაზრის – ბორჩალოსა და ახალქალაქის – მომავალი კუთვნილების გამო. ამას გარდა, სომხურმა მხარემ წამოაყენა პრეტენზია გორის მაზრის პატარა ნაწილზე, სთავაზობდნენ ცხრანყაროს უღელტეხილზე საზღვრის გაულებას (ვაშყყმაძე, 2013:145-146).

ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც კარგად ხედავდნენ თუ რას ემყარებოდა სომხების გაზრდილი პრეტენზიები, სომეხი ლტოლვილების საქართველოდან დაუყოვნებლივი გაყვანის საკითხი დააყენეს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას 1918 წლის 8 ნოემბრის პარლამენტის სხდომაზე სპ.

კედიას გამოსვლა იქცევს. იგი სხვადასხვა დროს საქართველოში ჩამოსახლებული სომხების ისტორიულად სამკვიდრებელ ადგილებში დაბრუნების აუცილებლობაზე მიუთითებდა. „ეს გადასახლება, – ამბობდა კეღია – არის ერთადერთი გზა, რომელიც ქართველ-სომეხთა უთანხმოების მიზეზს მოსპობს. საფუძვლიანად და რადიკალურად გადაჭრის სომხეთის საკითხს და გააქრობს იმ სომხურ იდეას, რომელიც საქართველოს დამხობას და დაშლას ემსახურება. სომხეთის ხელმძღვანელები რომ გამოფხიზლდებოდნენ და იმის მაგივრად, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი უთხარონ, შინ აჯანყება გაგვიმართონ, სომხეთის ბედის მოწყობას ეცდებოდნენ, მაშინ მოისვენებს საქართველო და მთელი ამიერკავკასიაც და მოგებული დარჩება თვით სომხობაც. ერთადერთი გარანტია ჩვენი მთლიანობის დასაცავად ჩვენს შინაურ სიმტკიცეში უნდა ვეძიოთ-ო.” აღნიშნული შეხედულების ჩამოყალიბებისათვის სპ. კედიას მყარი საფუძველი გააჩნდა. მისი ასეთი პოზიცია დაშნაკუტუნიის პარტიის ანტიქართული საქმიანობით იყო განპირობებული. თუმცა ამ მოთხოვნაზე სომხეთის მთავრობამ უარით უპასუხა (ვადაჭკორია, 2008:13-15).

სომხების მიერ 1918 წელს სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის მომავალი სახელმწიფოს რუკა, სადაც ოსმალეთის დიდი ნაწილი სომხეთის ფარგლებში არის მოქცეული, აგრეთვე სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც. რაც შეეხება საქართველოს, მისი სამხრეთისა და აღმოსავლეთის დიდი ნაწილი ასევე სომხეთშია აღნიშნული. ცხადია, ასეთი საზღვრები არც ეთნოგრაფიული პრინციპზე და არც ისტორიულ საფუძველზე არ იყო დამყარებული. სომეხთა მთავრობის დელეგაციამ კი ამგვარი რუკა წარუდგინა მსოფლიო კონფერენციას სომხეთის ამ ფარგლებში დასამტკიცებლად. თუმცა სომხების იმედები არ გამართლდა – მათი შეხედულებები არ გაიზიარეს. უზარმაზარი სომხეთის შექმნის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუბტივით გაქრა (ჯავახიშვილი, 1998:16).

დიპლომატიურ წარუმატებლობას სომეხთა რადიკალური წრეების გაზრდილი მადა არ დაუშოშმინებია. საქართველოსთან მიმართებაში საკითხის გადაჭრა იარაღის ძალით გადაწყვეტეს და საომარი მოქმედებებისათვის დაიწყეს მზადება.

§.3. სომხეთ-საქართველოს ომი – დასაწყისი, მსვლელობა და შედეგები

საქართველო-სომხეთის უთანხმოების ძირითად საფუძველს ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების კუთვნილების საკითხი წარმოადგენდა. დავამ ოფიციალურად 1918 წლის მაისში იჩინა თავი, როდესაც ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და მასში შემავალმა სუბიექტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. სომხეთის პრეტენზიის მიზეზი სომხეთის ხელისუფლებაში მოსული დაშნაკუთიუნის ლიდერების პოლიტიკური შეხედულებები გახდა. ისინი მიჩნევდნენ, რომ სამხრეთ კავკასიის ყველა რეგიონი, სადაც შესამჩნევი ოდენობით წარმოდგენილი იყო სომხური მოსახლეობა, მათი სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემის გადაჭრა სომხურმა მხარემ იარაღის საშუალებით გადაწყვიტა. მათ მოულოდნელობის ეფექტისა და სადავო ტერიტორიებზე ჩასახლებული სომხების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ.

სომხეთ-საქართველოს შორის წარმოებული ომის საერთო მსვლელობა ოთხ ეტაპად შეიძლება დავყოთ:

- I. საბრძოლო მოქმედება ოქტომბრის თვეში.
- II. სომხეთ-საქართველოს დიპლომატიური ომი.
- III. საომარი მოქმედებები 6 დეკემბრიდან.

IV. შულავერის ოპერაცია და ცეცხლის შეწყვეტა (ჩაჩხიანი, 2008:228).

„სომხეთის ხელისუფალთა უსაფუძლო ტერიტორიული პრეტენზიები, საქართველოსთან მიმართებაში უმადურობის დემონსტრირებად უნდა მივიჩნიოთ. სომხეთის მმართველი წრეების მოქმედებიდან იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ შეჭირვებაში მყოფი ლტოლვილი სომხებისათვის დახმარების ხელი არ უნდა გაეწოდებინა და უკან განედევნა” (ვადაჭკორია, 2008:32).

საინტერესო ცნობაა დაცული გიორგი მაზნიაშვილის მოგონებაში, რომელიც 18 ოქტომბრის მოვლენებს შეეხება. „უთანხმოება ამ ორ მთავრობას შორის დაიწყო 1918 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც სომხეთის არმიის პირველი და მეოთხე რეგიონები მოულოდნელად გადმოვიდნენ სახელმწიფოებრივ საზღვარზე სადგურ კობერსა და იქვე, ახლო მდებარე ხიდის შუა და დაიჭირეს სანაინას მიდამოები. ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გ. წულევიძე და დაეჭვებდებარა იქ დაბანაკებული ჯარის ნაწილები” (მაზნიაშვილი, 1927:118).

ამ დროს გერმანიის სარდლობამ, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფებოდა რეგიონში, სომხებისაგან მოითხოვა კობერის დატოვება, მაგრამ ეს მოთხოვნა არ იქნა შესრულებული. ვითარება იმითაც მძიმდებოდა, რომ გერმანელებს თითქმის აღარ ჰყავდათ ხალხი. მსვლელობისას ქართველები და გერმანელები მოითხოვდნენ თბილისისგან შევსებას. ქართულმა სარდლობამ დახმარების მოწოდების საპასუხოდ სანაინის კონტლიქტის ზონაში გაგზავნა 2 ჯავშანმატარებელი და 250 კაციანი რაზმი. საქართველოს ულტიმატუმზე, დაეტოვებინათ სადემარკაციო ხაზის სამხრეთით სადგური შავალი, სომხებმა უარით უპასუხეს (მურღულია, 2018)

ამავე დროს საქართველოს მთავრობამ მიიღო სომხეთის პრემიერ კაჩაზუნის მიერ ხელმოწერილი სამთავრობო შიფროგრამმა იმ დროისათვის სომხების მიერ კონტროლირებად აღსტაფიდან, რომელიც შეიცავდა შემდეგ ტექსტს: „მინისტრთა თავმჯდომარეს ჟორდანას, ასლი საქართველოში სომხეთის რწმუნებულს ჯამალიანს. დილიჟანის რაზმის უფროსმა მომახსენა, რომ ქართულმა არმიამ მას წაუყენა ულტიმატუმი შავალის სადგურის დატოვების შესახებ. ჩემს მიერ სომხურ მხარეს მიეცა ბრძანება, რათა არ დასტოვონ სადგური, ხოლო ქართველების მიერ

შეტევაზე გადასვლის შემთხვევაში – განახორციელოს თავდაცვითი ბრძოლა. მრავალტანჯული სომხეთისა და საქართველოსთვის ახალი უბედურებების თავიდან ასაცილებლად, სიმართლისა და სამართლიანობის სახელით გთხოვთ, თავი შეიკაოთ აგრესიული ქმედებისაგან და დასტოვოთ ქართული ჯარები არსებულ ხაზზე. ყველა სასაზღვრო საკითხს გადავჭრით მოლაპარაკებების გზით. შეგახსენებთ, რომ საქართველო არ აცხადებს პრეტენზიას ლორეზე და მას მხოლოდ დროებითად იკავებს, რათა არ დაიკაოს ის მესამე ძალამ. ველი თქვენს პასუხს. მინისტრთა თავმჯდომარე კაჩზნუნი”. 24 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ბორჩალოში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა (ანდერსენი, 2010).

1918 წლის 25 ოქტომბერს ბატონ ჯამალიანის მიერ უორდანიასთან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მონყალეო ხელმწიფეო, გ. გვარჯალაძემ (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე) განმიცხადა, რომ მას ხელთა აქვს დოკუმენტები, სადაც თურქეთის წარმომადგენლები საქართველოში – აბდულ ქერიმ ფაშა სთავაზობს ქართულ მხარეს თურქეთა წასვლის გამო დაიკავოს ლორეს რაიონი და ასევე სომხურ მხარესაც აქვს ანალოგიური შემოთავაზება თურქეთის წარმომადგენლისაგან სომხეთში – მამედ ალი ფაშასაგან”. როგორც ჩანს, თურქეთი ცდილობდა, მისი წასვლის შემდეგ სომხებსა და ქართველებს შორის მდგომარეობა დაძაბულიყო, თუნდაც მათ შორის ეს უთანხმოება საომარ მოქმედებაში გადაზრდილიყო (ჩაჩხიანი, 2008:179).

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ შემდეგს წერდა, რომ პარლამენტის 26 ოქტომბრის სხდომაზე ნ. რამიშვილმა განაცხადა: „ჩვენ გვაქვს საბუთი, რომ სომხეთის ჯარების მიერ ამ ადგილების დაკავება მოხდა ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით. ასეთივე შინაარსის განცხადება გააკეთა სამხედრო მინისტრმა გ. გიორგაძემ, რომ საქართველოსთან შეუთანხმებლად და „ოსმალებთან მოლაპარაკებით, ჩვენი ის ხაზი, რომელიც ოსმალეთის ასკერებს ეპყრათ, სომხეთმა დაიკავეს, ჩვენ საბუთი გვექონდა ომი გამოგვეცხადებინა მაგრამ გვსურდა უთანხმოება მშვიდობიანი გზით დაგვესრულებია” („საქართველო”, 1918, №205:2).

სომხებმა დაიკავეს აგრეთვე სოფლები, რომლებიც საქართველოს იურიდიციაში იმყოფებოდა და სადაც გერმანელთა რაზმები იყო ჩაყენებული. „ეს ფაქტი საქართველოს ხელისუფლებას ომის დანაშაულის საფუძველს აძლევდა“ (ვადაჭკორია, 2008:32).

პროფესორი რიჩარდ ოვანისიანი ვარაუდობს, რომ ოქტომბრის ინციდენტი იყო მხოლოდ „ქართული ძალების მოსინჯვა“ სომხეთის სამხედროების მიერ იმ მიზნით, თუ რამდენად სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდებოდა სადაო ტერიტორიების სომხეთისათვის ძალისმიერი მიერთების შემთხვევაში (მურლულია, 2018).

„საქართველოს მთავრობა მიზნათ ისახავდა სადავო საკითხების გადაწყვეტას, ამიტომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს 3 ნოემბერს თბილისში კონფერენციის მოწვევის წინადადებით მიმართა. ამ კონფერენციაზე ერთ-ერთი საკითხი იქნებოდა: ყველა სადავო, მათ შორის საზღვრების საკითხის გადაწყვეტა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმების გზით. სომხეთი ამ საკითხის ამოღებას მოითხოვდა, რადგან ტერიტორიულ საკითხებში მეტი წინააღმდეგობა აზერბაიჯანთან უფრო ქონდა, ვიდრე საქართველოსთან და ფიქრობდა, რომ აზერბაიჯანი-საქართველოს ალიანსი არასასურველ მდგომარეობაში ჩააყენებდა. 10 ნოემბერს კონფერენცია არ ჩატარდა სომხური მხარის გამოუცხადებლობის გამო. (ვაშაყმაძე, 2013:146-147).

„სომხური ტერიტორიული მისწრაფებები 1918 წლის 13 ნოემბერს გახდა ნათელი. სომეხთა მიერ სასაზღვრო ზონად მდინარე ხრამი გამოიკვეთა. მეორე მხრივ, დასავლეთის ზონა - ახალქალაქის მაზრა მთლიანად და ჩრდილოეთით გორის მაზრის ნაწილი, დამატებით ნინოწმინდისა და წალკის რაიონები, ქარელისა და ხაშურის ნაწილი“. 1918 წლის 17 ნოემბერს, როდესაც ბაქოში ბრიტანელთა საექსპედიციო კონტიგენტი შემოვიდა, მათ შემოჰყვა ლაზარ ბიჩერახოვიც ჩრდილო კავკასიიდან. ბაქოში ბრიტანული მმართველობა დამყარდა. სომხებს თავი ანტანტის ქვეყნების პატარა მოკავშირედ მიაჩნდა. სომხეთში ეგონათ, რომ ბრიტანელებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნებოდათ მათთან, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანს უფრო მტრულად მიუდგებოდნენ. ორივე სახელმწიფო პირველ

მსოფლიო ომში დამარცხებული იმპერიების მოკავშირეები იყვნენ და მათი დახმარებით სარგებლობდნენ, საქართველო გერმანიის, ხოლო აზერბაიჯანი ოსმალეთის. თუმცა ლაზარ ბიჩერახოვმა და მისმა რუსულ-სომხურმა რაზმმა მალე გამოაჩინა ნამდვილი სახე, ბიჩერახოვის რაზმი განაიარაღეს და დაშალეს (ჩაჩხიანი, 2008:264, 269-271).

სომხები იმ შემთხვევაში მიდიოდნენ დათმობაზე, თუ კი საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერდა მათ ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთისა და აზერბაიჯანის მიმართ. საქართველოს არ უნდოდა ურთიერთობის გამწვავება სამხრეთ კავკასიაში მეზობლებთან, ამიტომ მსგავსი დაპირება არ გასცა (ვაშაყმაძე, 2013:146-147).

კრიტიკული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ დაიწყო გარკვეული ზომების გატარებას სამცხე-ჯავახეთის დასაკავებლად. 1918 წლის 5 დეკემბერს ქართული ჯარები ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში შედიან. მთავრობის ასეთი ნაბიჯი გადადგმული იქნა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ძალადობის აღსაკვეთად, რომელსაც დარჩენილი თურქული ქვედანაყოფები ახოციელებდა. სომხები მიზნებს ეძებდნენ დასახული მიზნის მისაღწევად და ამის მიზგად სწორედ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში ქართული ჯარის შეყვანა ჩათვალეს. ე. გეგეჭკორი 7 დეკემბრის დეპეშაში მიუთითებს „საქართველოს მთავრობა ახალქალაქის მაზრას თავის ისტორიულ ტერიტორიად სთვლის და სომხეთის პროტესტი ამ საკითხზე უადგილოა. დაე ნუ ჩაერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში“. 7 დეკემბრის დეპეშით, ფაქტობრივად, დასრულდა სომხეთ-საქართველოს შორის წარმოებული დიპლომატიური ომი (ვადაჭკორია, 2008:37-38).

რაც შეეხება თურქეთის პოზიციას, იგი ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის მდგომარეობა დაძაბულიყო და მათ შორის დაწყებული კონფლიქტი საომარ მოქმედებაში გადაზრდილიყო. თურქეთის სარდლობამ სომხეთის მთავრობას ახალქალაქის დაკავება შესთავაზა. საარქივო დოკუმენტებით მტკიცდება, რომ სომხებს თურქული მხარე ეხმარებოდა შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებითაც. მაშინ, როდესაც სომხური მხარე

აქტიურად ემზადებოდა საომარი მოქმედებისთვის, დაგეგმილი ჰქონდათ საზღვრისპირა მოსახლეობის საველე სწავლება და სამხედრო წვრთნები, ქართული მხარე არ ფლობდა არანაირ ინფორმაციას. ეს, ერთგვარად, ჩვენი მთავრობის უნიათობაზე მიუთითებს. ამის დასტურად საგარეო საქმეთა მინისტრის, ვეგენი გეგჰკორის სიტყვებიც კმარა. „სომხებს თუ ომი გამოუცხადეთ, სამსახურიდან გადავდგები. ალბათ ყაჩაღები ესხმიან ჩვენს დარაჯებს, თორემ სომხები როგორ შემოგვკადრებს ჩვენს ჯარებს ამისთანა თავხედობასო” – აცხადებდა იგი (ჩაჩხიანი, 2008:186-188).

საინტერესო ცნობაა დასული გიორგი მაზნიაშვილის მოგონებაში, რომელიც დეკემბრის მოვლენებს შეეხება: „ჩვენი მთავრობის აზრით სომხებთან ურთიერთობის მოგვარება მშვიდობიანი გზით შეიძლებოდა, ზომების მიუღებლობა კი ძვირად დაუჯდა, 9 დეკემბერს სოფელ სანაიასთან სომხების ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა მცირე-რიცხოვან ჩვენს ჯარს. გენერალ წულუკიძის რაზმის სუსტმა ნაწილმა ვერ გაუძლო სომხების კარგად მომზადებული ჯარების იერიშს და უკან დაიხია” (მაზნიაშვილი, 1927:118).

„9 დეკემბრის უნესრიგობების აღსაკვეთად გენერალ წულუკიძის გადაწყვეტილებით გამოიყო რაზმი, რაზმი ორ ნაწილად გაიყო, მათ სათავეში პოლკოვნიკი ჩხეიძე და პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი ჩაუდგნენ. მათ მიზანს უზუნლარში ჩაბუდებული დაშნაკური ბანდების ლიკვიდაცია და სოფლის მოსახლეობი განიარაღება შეადგენდა. თორმეტსაათიანი ბრძოლის შემდეგ უზუნლარზე კონტროლის აღდგენა ვერ მოხერხდა, ქართველებს ამ ბრძოლაში მრავალრიცხოვანი სომხური რაზმები დაუპირისპირდნენ, რომლებიც გაძლიერებული იყვნენ რეგულარული ნაწილებით. ოპერაცია გადაიღო, რაზმს უკან სანაიასკენ დახევა უბრძანეს” (ჩაჩხიანი, 2008:290).

მთავრობის თავჯდომარის ნ. ჯორდანაის სიტყვა სომხების თავდასხმასთან დაკავშირებით დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში”: „ბატონებო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, სომხეთის მთავრობა ჩუმად და მალულად ჩვენს საქართველოს რესპუბლიკას თავს დაესხა. ეხლა ირკვევა აშკარად, რომ მან ან მისმა

აგენტებმა ჯერ მოაწყვეს სომხური სოფლების აჯანყება, შემდეგ ეს თითზე დაიხვიეს და თავისი რეგულარული ჯარები ჩვენს საზღვრებში შემოიყვანეს. მან ლახვარი ჩასცა როგორც ქართულ, ისე სომხი ხალხის ისტორიულ ტრადიციას” („საქართველოს რესპუბლიკა”, 1918, №119:2).

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „სახალხო საქმე“ შემდეგს წერდა: „ნდობით ვეპყრობოდით სომხებს და ისინი იყვნენ მილიციამიც, სახალხო გვარდიაშიც. ეხლა აღმოჩნდა, რომ ესენი ჩვენი იარაღით აღჭურვილი საკუთარი თავისთვის ზრუნავდნენ. ჩვენს ხალხს კარგად ესმის, თუ რა საფრთხე მოელის მოუსვენარ მეზობლებისგან. იგი აღშფოთებულია მისი ვერაგობითა და მზაკრობით და ხალხის მიდის მის წინააღმდეგ საბრძოლველად” („სახალხო საქმე”, 1918, №413:1).

11 დეკემბერს სომეხთა ძალები უკვე სადგურ ალავერდის მიდამოებში გამოჩნდნენ, მათ ისარგებლეს ადგილის რთული რელიეფით, განლაგდნენ მთებზე. განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ ქართულ პოზიციებზე. 11-12 დეკემბრის ბრძოლების შემდეგ ქართულმა ნაწილებმა შეძლეს გამაგრებულიყვნენ სადგურ ალავერდში და დაეკავებინათ გარშემო მდებარე სიმაღლეები. 14 დეკემბრისთვის ალავერდის მიმართულებით შეტევაზე გადასულ სომხურ ნაწილებს, დაახლოებით ათმაგი უპირატესობა გააჩნდათ ქართველებთან შედარებით. ისარგებლა რა შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით გენერალმა დრასტამატ კანაიანმა წერილობით მიმართა ქართულ სარდლობას, დაადანაშაულა ქართველი სამხედროები სომხური მოსახლეობის ჩაგვარაში და წაუყენა ულტიმატუმი სასწრაფოდ დაეტოვებინათ „მათი“ ტერიტორიები. 14 დეკემბერს გენერალ-მაიორმა გიორგი წულუკიძემ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა სადგური ალავერდი და სადახლოს მიმართულებით დაეხია უკან (https://ka.wikipedia.org/wiki/სომხეთ-საქართველოს_ომი)

სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ 5-17 დეკემბრის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შეძლეს დაეკავებინათ ბორჩალოს მაზრის ლორეს უბნის ჩრდილოეთ ნაწილი. ომის საწყის დღეებში მიღწეული წარმატებით ფრთებშესხმულმა სომხეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ლორეს უბნიდან

საბრძოლო მოქმედებები ჩრდილოეთით, ეკატერინენფელდისა და შულავერის მიმართულებით გადაიტანა. ომის კიდევ ერთი ფრონტი ახალქალაქის მაზრაში სომხებმა ლორეზე თავდასხმის პარალელურად გახსნეს. 17 დეკემბერს, საქართველოს ხელისუფლებამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. იმავე დღეს სომხეთის წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქრის სარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, სამხედრო შტაბის უფროსად კი გენერალი გიორგი კვინიტაძე. გატარებული ღონისძიებების შედეგად, დეკემბრის მეორე ნახევრიდან საომარი ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა (მურღულია, 2018).

ეკატერინენფელდის ბრძოლები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიიდან. 18 დეკემბერს ქვედანაყოფები ეკატერინენფელდისკენ დაიძრნენ. ამ ნაწილების სარდლად დაინიშნა გვარდიის ოფიცერი ვალიკო ჯუღელი, ხოლო ყველა ახლადფორმირებული ჯარების სარდლად გენერალი ახმეტელაშვილი. ამ ბრძოლაში გვარდიელთა ურყევმა რწმენამ და თავდადება ნაყოფი გამოიღო, დღის ბოლოსკენ სომხები უკუიქცნენ და ბრძოლის ველის დატოვება დაიწყეს. ეს ბრძოლა ქართული მხარის თავდაცვით ბრძოლას წარმოადგენდა, რომელიც მალე გადაიზარდა წარმატებულ შეტევით მოქმედებებში. ეს იყო პირველი დიდი გამარჯვება ბორჩალოს მაზრაში, თუმცა ეს პირველი ეტაპის დასასრული იყო.

მეორე ეტაპს დაღეთ-ხაჩინისა და ბოლნის-ხაჩინის შეტევითი ბრძოლები წარმოადგენდა. 1918 წლის 25 დეკემბერს ქართულმა შენაერთმა დაღეთ-ხაჩინი აიღო. ბოლნის-ხაჩინზე შეტევითი ოპერაცია 30 დეკემბერს დაიწყო და ის 31 დეკემბერს აღებულ იქნა (ჩაჩხიანი, 2008:354-368).

18 დეკემბრის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ სომეხთა სამხედრო მეთაურობას ტაქტიკის შეცვლა მოუწია. ამჯერად მათ უარი თქვეს სადგურ სადახლოს პირდაპირი შეტევით აღებაზე, გადაწყვიტეს ესარგებლათ რიცხოვრივი უპირატესობით. 19 დეკემბერს სომხური ნაწილები დაემხნენ მდ.შულავერის ხეობაში და წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი შულავერი. შულავერის ოპერაციასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა

დაცული გიორგი მაზნიაშვილის მოგონებაში: „ქალაქ შულავერს თანდათან ვავლებდი წრეს, გადავწყვიტე იერიში მიმეტანა 24 დეკემბერს, მაგრამ დამავიწყდა სახალხო გვარდიის შეთვისებული უნიანობა და ავზნეობა. სომხებმა დაიჭირეს შულავერიდან ჩრდილოეთით მდებარე მაღლობები. 22 დეკემბერს სოფ. სარაჩლოსთან, რომელიც მდებარეობს შულავერის ჩრდილოეთ მხარეზე, მოვიდა სახალხო გვარდიის რაზმი გენერალ ჩხეტიანის უფროსობით. ხელჩართული ბრძოლით მტერი გადარეკეს შულავერისაკენ” (მაზნიაშვილი, 1927:125-128).

„შულავერის მისადგომებზე გენერალური შეტევის დასაწყისად 1918 წლის 25 დეკემბრის 3 საათი გამოცხადდა, პირველად სწორედ შულავერის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებში დასტურდება დოკუმენტურად პირველად ქართული ავიაციის საბრძოლო გამოყენების ფაქტი. დეკემბრის 26 ჩვენებს მარცხი მოუვიდათ. 27 დეკემბერს გენერალ მაზნიაშვილმა გადაწყვიტა პირადად გაძლოლოდა მე-5 პოლკის ქვედანაყოფებს და ასე გაერღვიათ სომხური პოზიციების ფლანგი. მე-5 პოლკს შიშველ ადგილას მოუწია შეტევა და არტილერიის მიზანში სროლას კი ნისლი უშლიდა ხელს. ამ შეტევა არსებითი შედეგი არ მოიტანა. 1918 წლის 28 დეკემბრის 12 საათზე ქალაქ შურაველის აღების ოპერაცია დაიწყო. შეტევებმა დაანახა მოწინააღმდეგეს, რომ ვერ შეინარჩუნებდა შულავერის სიმაღლეს და ღამით მათ დატოვეს გამაგრებული პოზიციები. 1918 წლის 29 დეკემბრის დილისათვის შულავერი განთავისუფლდა“ – წერს მკვლევარი ა. ჩაჩხიანი (ჩაჩხიანი, 2008: 392-400).

შულავერის აღების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სადახლოს განთავისუფლების საკითხი. 29-30 დეკემბერს გიორგი ნულუკიძის მეთაურობით მდ.დებედის ორივე სანაპიროს გასწვრივ მოძრავმა ქართულმა დაჯგუფებამ გაათავისუფლა მიმდებარე ტერიტორია და ბრძოლით დაიკავა სოფელი და სადგური სადახლო. პარალელურად ქართველმა სამხედროებმა წარმატებული შეტევა განახორციელეს მდ.შულავერის ხეობის გასწვრივ სამხრეთის მიმართულებით. ქართულმა ნაწილებმა მიაღწიეს წერაქვს და დაიკავეს სოფელი (https://ka.wikipedia.org/wiki/სომხეთ-საქართველოს_ომი).

31 დეკემბრისათვის ქართულ არმიას უკვე დაკავებული ჰქონდა სანაინის მიდამოები. 1919 წლის 1 იანვარს ჩვენს ჯარს იერიში უნდა მიეტანა და სანაინი და ალავერდი აეღო. ამ დროისთვის სომხეთის შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი განადგურებული იყო და აშკარა შეიქნა, რომ სომხეთი მარცხდებოდა, მაგრამ ამ მომენტში გამოჩნდნენ და საქმეში ჩაერთვნენ ანტანტას წარმომადგენლები და ორივე მთავრობას დროებითი ზავის დადება მოსთხოვეს. საზავო პირობებით ქართული ჯარი უნდა შეჩერებულიყო იქ სადაც 31 დეკემბრის 24 საათზე აღმოჩნდებოდა; სომხეთის ჯარი ცლიდა ბორჩალოს მაზრას და უბრუნდებოდა თავის საზღვრებს: შუაში დარჩენილი ტერიტორია ნეიტრალურ ზონად ცხადდებოდა და მას ინგლისელთა პიკეტები იკავებდა. რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, იქ ქართული ადმინისტრაცია რჩებოდა და მას მეთვალყურეობას გაუწევდა ანტანტის წარმომადგენლობის კომისია (მურღულია, 2018).

გიორგი მაზნიაშვილის მოგონებაში საინტერესო ცნობაა დაცული: „31 დეკემბრისათვის ჩვენი ჯარები დანიშნულ ადგილებზე იდგნენ. ცენტრმა ხანმოკლე შეტაკების შემდეგ დაიკავა ლამბალო-სადახლო, გამოჰყო ორი რეგიონი და გაგზავნა ხოჯორნასთან და იქედან სოგ. ბორდავორზე. მარჯვენა ფრთამ დაიჭირა ოფლეთი, რომელიც მდებარეობს სანაინის მახლობლად. 1-ლ იანვარს გათენებისას მარჯვენა ფრთის ნაწილებს უნდა დაეკავებინათ ერთროულად სადგური სანაინი და ალავერდი. თუმცა 31-ში მიიღო ბრძანება, რომლის ძალითაც 31 დეკემბერს 12 საათზე უნდა შეჩერებინა სამხედრო მოქმედებები” (მაზნიაშვილი, 1927:131).

ქართულმა სარდლობამ სცადა მაქსიმალურად გამოეყენებინა დარჩენილი დრო და შეტევითი ბრძოლით რაც შეიძლებოდა წინ წაინია. თუმცა ეს უკვე ბევრს არათერს ნიშნავდა. საბოლოო შედეგები ინგლისელთა გადანყვეტილებებზე იყო დამოკიდებული.

31 დეკემბრის 24 საათზე სომხეთ-საქართველოს ომი დასრულდა. 1919 წლის 9 იანვარს თბილისში ბრიტანულ-ქართულ-სომხური მოლაპარაკებები დაიწყო. კონფერენციამ მუშაობა დაიწყო 10 იანვარს და დამთავრდა 17 იანვარს, როდესაც მის ბოლო, მეოთხე სხდომაზე ხელმოწერილ იქნა სამთავრობო შეთანხმება ომის

შენწყვეტისა და ლორეში ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ. მიღწეული შეთანხმებით, ბრიტანელები გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ ახალქალაქთან მიმართებაში, ახალქალაქის მაზრის მართვის უფლება ქართულ მხარეს დაუტოვეს. საქართველომ ძირძველ ისტორიულ მიწაზე – ლორე-ბამბაკის სამხრეთ ნაწილზე სუვერენული უფლება დათმო (ჩაჩხიანი, 2008:441-449). აქ შეიქმნა ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონა“.

1919 წლის იანვარში ლორეს ნეიტრალური ზონა დაიკავეს ბრიტანელმა სამხედროებმა, რომლის გენერალურ ინსპექტორად კაპიტანი არჩიბალდ შოლტო ჯორჯ დუგლასი დაინიშნა. ნეიტრალურ ზონას მართავდა კომისარიატი, სადაც საქართველოსა და სომხეთს თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავდათ, კომისარიატს მეთვალყურეობას უწევდა მოკავშირეთა სამხედრო მეთაურობა (https://ka.wikipedia.org/wiki/სომხეთ-საქართველოს_ომი).

ლორეს ნეიტრალური ზონის ბედი მოლაპარაკებებს უნდა გადაეწყვიტა. ეს იყო აშკარა უსამართლობა ქართველი ერის მიმართ.

სპირიდონ კედიამ საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 4 იანვრის სხდომაზე განაცხადა, რომ ომში ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ საზავო შეთანხმების პირობებით დამარცხებულნი აღმოვჩნდით. საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას ტერიტორიის ერთ ნაწილზე და ამიტომ იგი მიუღებელია. მთავრობამ ვერ დაიცვა ერის ღირსება, ზავის პირობებს იძლევა არა გამარჯვებული, არამედ დამარცხებული ჯარის პატრონი სახელმწიფო.

ზავით, ფაქტობრივად, შეიბღალა საქართველოს ინტერესები – მან კონტროლი დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიის ნაწილზე.

გარდა ამისა, ომის შედეგად საქართველომ დიდი მატერიალური ზარალი განიცადა (შურღულია, 2018).

საქართველოსა და სომხეთის მეორე კონფერენციაზე (1919 წლის 28 თებერვალი – 3 მარტი), საზღვრების საკითხი, კვლავ ღიად დარჩა, იმ იმედით, რომ მას პარიზის სამშვიდობო კონფერენცია გადაწყვეტდა (<https://presa.ge/?m=military&AID=11193>).

საბოლოოდ, ლორე-ბამბაკის ბედი სომხეთ-საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გადაწყდა.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ წითელი არმია საქართველოს მოადგა. რუსულ-სომხურმა თანამშრომლობამ აქაც იჩინა თავი – ლორე-ბამბაკის ნეიტრალური ზონის სომხური მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყდა, რასაც შემდეგ ცნობილი მოვლენები მოჰყვა. საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება დამყარდა, რომელმაც, მადლიერების ნიშნად, საქართველოს ისტორიული მიწა – ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი სომხეთს მიაკუთვნა.

ამრიგად, საქართველომ დაკარგა თავისი ისტორიული ნაწილი. ქართულ მიწაზე სომხების მიზანმიმართულმა მასობრივმა ჩასახლებამ მათში გააჩინა ქართული ტერიტორიის ხელში ჩაგდებისა და მითვისების ამბიცია. რაც გარეშე ძალების დახმარებით, ეტაპობრივად განახორციელა კიდევ.

მიღებულმა მწარე გაკვეთიმა უნდა დაგვანახოს, სასაზღვრო ზონებში თუ რა საბედისწერო მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს დემოგრაფიულმა ფაქტორმა. გარდა ამისა, ყოველთვის უნდა გაგვახსენოს ჩვენი სამხრეთელი მეზობლის უზომო ამბიციები და მისწრაფებები. აუცილებელია, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს მომხდარი ფაქტები და სათანადო ყურადღება მიაქციოს არსებულ მდგომარეობას.

დასკვნები

XVIII საუკუნის II ნახევრიდან გაიზარდა რუსეთის იმპერიის დაინტერესება ამიერკავკასიით, კერძოდ კი ქართლ-კახეთის სამეფოთი. ეს მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობის ქვეყანა პლაცდარმად სჭირდებოდა ახლო აღმოსავლეთში შესაღწევად. სომეხთა გარკვეული წრეები მოხერხებულად იყენებდნენ ამიერკავკასიით რუსეთის მზარდ დაინტერესებას და მზად იყვნენ ხელი შეეწყობათ მისთვის საქართველოს დაუფლების საქმეში. სანაცვლოდ კი, რუსეთის დახმარებით, იმედოვნებდნენ თავი მოეყარათ თავიანთი გაფანტული მოსახლეობისათვის ქართლ-კახეთში. შემდგომში ეს ხელს შეუწყობდა იოლად მიეთვისებინათ ქართული ტერიტორიები და სომხური სახელმწიფოს აღდგენაც აქედან დაეწყათ. ხელმძღვანელობდნენ რა ამ მოსაზრებით, სომხები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართლ-კახეთის დასუსტებას. მათ დიდი წვლილი შეიტანეს კრწანისის ტრაგედიაშიც.

რუსულმა ხელისუფლებამ, რომელმაც კარგად იცოდა სომეხთა ზნეობრივი მრწამსი და მოღალატური ბუნება, ისინი კარგად გამოიყენა ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუფლების, შემდეგ კი აქ თავისი პოზიციების განმტკიცების საქმეში.

იმპერიამ სათანადოდ დაუფასა სომხებს ერთგულება და ქართველთა ღალატი და XIX საუკუნეში ოსმალეთიდან და ირანიდან აყრილი ასი ათასობით სომეხი საქართველოს მიწა-წყალზე დაასახლა. სომხებმა საქართველოს დემოგრაფიული ანექსია დაიწყეს. განსაკუთრებით გაიზარდა სომხების რიცხვი ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. მასობრივი ჩამოსახლებები გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც. საქართველოში სომეხთა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქართული მიწების, კულტურისა და ისტორიის მითვისება-გასომხურების მისწრაფება. ეს კი კარგ საფუძველს ქმნიდა ქართული მიწების ხარჯზე სომხური სახელმწიფოს აღდგენის იდეის შემდგომი გაძლიერება-განვითარებისათვის.

1917 წლის თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში მონარქია დაამხო. ორხელისუფლებიანობა დამყარდა ამიერკავკასიასა და საქართველოშიც. 1917 წლის მარტში თბილისში მუშაობას შეუდგა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, დაემხო რუსეთის დროებითი მთავრობა და ოზაკომმა მოქმედება შეწყვიტა. 1917 წლის

ნოემბერში თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატმა. ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის თებერვალში მოიწვია საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც 1918 წლის 22 აპრილს გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელშიც შედიოდა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. 1918 წლის 26 მაისს უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიერკავკასიის სეიმმა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. რის შემდეგაც, იმავე დარბაზში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. დამოუკიდებლობა გამოაცხადა სომხეთმა და აზერბაიჯანმაც.

სომხებს ამ დროისათვის უკვე დიდი ხანია გააჩნდათ აკვიატებული იდეა, რომ უნდა აღდგენილიყო მითიური, ე.წ. „დიდი სომხეთი“, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო თითქმის მთელი ამიერკავკასია მიმდებარე რეგიონებითურთ. სომხური ნაციონალისტური პარტიები გაცხოველებით მუშაობდნენ ამ მიმართულებით. განსაკუთრებით აქტიურობდა დაშნაკთა პარტია. დაშნაკების მიზანი იყო „დიდი სომხეთის“ შექმნა „ზღვიდან ზღვამდე“.

სომხთა რადიკალურ წრეებს პრეტენზია საქართველოს ბევრ კუთხეზე ჰქონდათ, მაგრამ განსაკუთრებით ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მიტაცებას ცდილობდნენ, რაც აქ შექმნილი დემოგრაფიული ვითარებით იყო განპირობებული. XIX-XX სს-ში განხორციელებული მიზანმიმართული მასობრივი გადმოსახლებების შედეგად სომხები ჯავახეთში აბსოლუტურ უმრავლესობას, ხოლო ქვემო ქართლში მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ.

1918 წლის 18 ოქტომბერს სომხეთის ჯარის ნაწილებმა, ომის გამოუცხადებლად, დაარღვიეს საქართველოს საზღვრები და გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს, თუმცა ქართველებმა შეძლეს დაშნაკური აგრესიის აღკვეთა. ნოემბრის თვეში მიმდინარე უშედეგო პოლიტიკურ-დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ სომხებმა საომარი მოქმედება განაახლეს

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინამდევ. თავდაპირველად მათ გარკვეულ წარმატებებს მიღწიეს, რასაც საქართველოს ხელისუფლების უნიათობამ შეუწყო ხელი. თუმცა, მალე ქართულმა მხარემ ძალების მობილიზება მოახდინა და ძლიერი კონტრშეტევით სომხებს უკან დაახევინა. 28-31 დეკემბერს ქართველმა შენაერთებმა დიდ წარმატებას მიაღწია. რომ არა ინგლისის წარმომადგენლების ჩარევა, სომხური მხარე სასტიკი დამარცხებისათვის იყო განწირული.

ინგლისმა ქართველების შეტევა შეაჩერა. მისი პროსომხური განწყობა, ძირითადად, იმან განაპირობა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან პირველ ხანებში საქართველო ინგლისი მოწინააღმდეგე გერმანიასთან თანამშრომლობდა, რაც იძულებით იყო გამოწვეული.

1919 წლის იანვარში ჩატარებული ბრიტანულ-ქართულ-სომხური მოლაპარაკებების შედეგად ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და მასზე საქართველომ, ფაქტობრივად, სუვერენიტეტი დაკარგა.

ლორეს ნეიტრალური ზონის შემდგომი ბედი მოლაპარაკებებს უნდა გადაეწყვიტა. ეს იყო აშკარა უსამართლობა ქართველი ერის მიმართ.

საბოლოოდ, გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, საქართველოს გასაბჭოებაში განეული დახმარების სანაცვლოდ, საქართველოს ისტორიული მიწა – ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი სომხებს მიაკუთვნა.

ამრიგად, საქართველომ დაკარგა თავისი ისტორიული ნაწილი. ქართულ მიწაზე სომხების მიზანმიმართულმა მასობრივმა ჩასახლებამ მათში გააჩინა ქართული ტერიტორიის ხელში ჩაგდებისა და მითვისების ამბიცია. რაც გარეშე ძალების დახმარებით, ეტაპობრივად განახორციელა კიდევ.

მიღებულმა მწარე გაკვეთიმა უნდა დაგვანახოს, სასაზღვრო ზონებში თუ რა საბედისწერო მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს დემოგრაფიულმა ფაქტორმა. გარდა ამისა, ყოველთვის უნდა გაგვახსენოს ჩვენი სამხრეთელი მეზობლის უზომო ამბიციები და მისწრაფებები. აუცილებელია, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს მომხდარი ფაქტები და სათანადო ყურადღება მიაქციოს არსებულ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე, 2008: – აბდალაძე (აბულაძე) ალ., „საქართველო და სომხეთი“, თბილისი, 2008.

ავალიშვილი, 1924: – ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, – I, მოგონებანი. ნარკვევები; თბილისი, 1990

ანდერსენი, 2010 – ანდერსენი ე., „1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომი და სომხეთ-საქართველოს ტერიტორიალური საკითხი XX საუკუნეში“, 2010. ინტერნეტ-მისამართი: <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-2/>

ანჩაბაძე, 2005: – ანჩაბაძე გ., საქართველოს ისტორია, – მოკლე ნარკვევი, თბილისი, 2005.

ბერძენიშვილი, 1973: – ბერძენიშვილი ნ., „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VI, თბილისი.

გაზეთი „საქართველო“, 1917, №62

გაზეთი „საქართველო“, 1917, №242

გაზეთი „საქართველო“, 1917, №254

გაზეთი „საქართველო“, 1917, №255

გაზეთი „საქართველო“, 1917, №256

გაზეთი „საქართველო“, 1918, №105

გაზეთი „საქართველო“, 1918, №205

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, , №119

გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, №413

გაზეთი „კომუნისტი“, 1921, №10

გუგუშვილი, 1949: – გუგუშვილი პ., „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს.ს.“, I, თბილისი, 1949.

გუგუშვილი, 1979: – გუგუშვილი პაატა, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“, VI, თბილისი, 1979.

გურული, 2011: – გურული ვახტანგი, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“, გაზ. „აი ია“, 2011, №4.

ვადაჭკორია , 2008 – ვადაჭკორია შ., „სომხურ-ქართული ურთიერთობა და 1918–1919 წლების სამხედრო დაპირისპირების მიზეზები“, თბილისი, 2008.

ვარდმანიძე,2013: – ვარდმანიძე ჯ.,, მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30-80-იანი წლები), ბათუმი,2013.

ვაშაყმაძე, 2013 – ვაშაყმაძე ნ., „სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათასადავო ტერიტორიული პრობლემების ურთიერთშეთანხმების გზით გადაწყვეტის მცდელობა 1918–1920 წლებში“, თბილისი, 2013

თეთვაძე, თეთვაძე, 1998: – თეთვაძე შ., თეთვაძე ო, „სომხები საქართველოში“, თბილისი, 1998.

თოფჩიშვილი, 1987: – თოფჩიშვილი როლანდი, „სტატია“, უერნ. „მნათობი“, 1987, №12.

კარბელაშვილი, 1916: – კარბელაშვილი პ., „სომხები საქართველოში“ (ისტორიული საბუთები), გაზ. „სამშობლო“, 1916, 11-18 აგვისტო.

ლომსაძე, 1975: – ლომსაძე შ., „სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუანლებიდან XIX საუკუნის შუანლებამდე)“, თბილისი, 1975.

მაზნიაშვილი, 1927 – მაზნიაშვილი გ., „მოგონებანი 1917– 1925 წწ“, ტბილისი, 1927.

მაისურაძე, 1982: – მაისურაძე გ., „ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში“, თბილისი, 1982

მოღებაძე, 2010: – მოღებაძე ვ., „მესხური პრობლემების ანალიზი, – მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაცია და რეინტეგრაციის პრობლემები“, თბილისი, 2010.

მურღულია, 2018 – მურღულია უ., „საქართველო – სომხეთის 1918 წლის ომი და მისი შედეგები“, 2019.

პაპავა, პაპავა, 1956: – თამარ და აკაკი პაპაევები, „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, ბუენოს აირესი, 1956.

- უორდანია, 1990 – უორდანია ნ., „ჩემი წარსული“, თბილისი, 1990
- უერნალი „ჯარი და ერი“, 1918, №2
- უერნალი „ჩემი სამყარო“, 2014, №3
- სამსონაძე, 1988: – სამსონაძე მ., „საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში“, თბილისი, 1988.
- სეფიაშვილი, 2018: – სეფიაშვილი ნ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევა“, თბილისი, 2018.
- სინ, 1972: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები., ტომი VI: საქართველო 1900-1921 წლებში, თბილისი, 1972.
- ფირცხალავა, 1915: – ფირცხალავა ს., „სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“, თბილისი, 1995.
- ფრონელი, 1991: – ფრონელი ა., დიდებული მესხეთი, თბილისი, 1991.
- ფრონელი, 1899: – ფრონელი ა., სტატია „გადმოსახლებულების დაბინავება საქართველოში“, ჟურნ. „მოამბე“ 1899 № IV, №VI.
- ფრონელი, 1907: – ფრონელი ა., „ამბოხება კახეთისა“, ტფილისი, 1907.
- ქვარიანი, 1919: – ქვარიანი ს., „ქართველი ერის ისტორია“, თფილისი, 1919.
- შუბითიძე, 2011: – შუბითიძე ვაჟა, „სომხების როლი ქართული სახელმწიფოს დაცემის საქმეში“, ინტერნეტ-მისამართი: <https://for.ge/view/9934/somxebis-rol-i-qarTulisaxelmwifos-dacemis-saqmeSi.html>
- ჩაჩხიანი, 2007: – ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალურ-ექსპასიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.
- ცენტარქივი, 1930: – ცენტარქივი., 1917 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში, – ცენტრალური სააქივო სამართველოს გამოცემა, ტფილისი, 1930.
- ჭავჭავაძე, 1994: – ჭავჭავაძე ი., „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“, თბილისი, 1994.
- ჭიჭინაძე, 1904: – ჭიჭინაძე ზ., „ქართველი გრიგორიანები, ისტორიული მიმოხილვა შავშეთისა“, თბილისი, 1904.

ჭიჭინაძე, 1911: – ჭიჭინაძე ზ., „ისტორია ოსმალეთის ყოფილი მუსლიმან ქართველნი საქართველოსი“, ბათუმი, 1911.

ჭეიშვილი, 1982: – ჭეიშვილი ა., „ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები“, თბილისი, 1982.

ხაჭაპურიძე, 1940: – ხაჭაპურიძე ვ., „საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია“, თბილისი, 1940.

ჯავახიშვილი, 1919: – ჯავახიშვილი ივ., „საქართველოს საზღვრები, ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით“, ტბილისი, 1919.

ჯავახიშვილი, 1998: – ჯავახიშვილი ივ., „დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს)“, თბილისი, 1998.

ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914: – ჯამბაკურ-ორბელიანი აღ., „მეფის ირაკლი მეორის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი“, – ს. კაკაბაძის წიგნიდან: წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბილისი, 1914.

ჯანელიძე, 2018: – ჯანელიძე ო., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 2018.

ჯანიაშვილი, 1995: – ჯანიაშვილი ლ., „სომხები სამცხე-ჯავახეთში“, თბილისი, 1995.

ჯაოშვილი, 1996: – ჯაოშვილი ვ., „საქართველოს მოსახლეობის ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა“, თბილისი, 1996.

ჯიბაშვილი, 2010: – ჯიბაშვილი ო., „რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი და სამხრეთ საქართველო“, ბათუმი, 2010.

ჯიბაშვილი, 2016: – ჯიბაშვილი ო., „მკვლევლობა, რომელმაც შეცვალა საქართველოს ბედი“, მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), II, თბილისი, 2016.

Григорян, 1946: – Григорян Т., „Вековая борьва Армянского Народа за свою независимость и свободу“, Москва, 1946.

Ереванци, 1958: – Ереванци С., „Джамбр“ (паматная книга зерцало и сборник всех обстоятельств святого престола Эчмиадзина и окрестных монастырей), под ред. и предисловием П.Т.Арутюняна, М, 1958.

Иоаннисян, 1945: – Иоаннисян А., „Иосиф Эмин“, Ереван, 1945.

Петросян, 2012: – Гегам Арутюнович Петросян, „Отношения Республики Армения с Россией (1918-1920 гг.)“, Издательство ЕГУ, Ереван, 2012.

Потто, 1886: – Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. 3, СПб, 1886.

<http://umurgulia82.blogspot.com/2016/01/blog-post.html> – „არმენიელთა პოლიტიკური ისტორია“, უჩა მურდულიას ბლოგი, იმტერნეტ-მისამართი: <http://umurgulia82.blogspot.com/2016/01/blog-post.html>

<https://ru.wikipedia.org/wiki/Симеон-Ереванци>

https://ka.wikipedia.org/wiki/სომხეთ-საქართველოს_ომი – „სომხეთ-საქართველოს ომი“, ვიკიპედია, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/სომხეთ-საქართველოს_ომი

<http://www.bu.org.ge/x2254>

<https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-2/>

<https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/marxulia-dashnakcutuni/>

<https://presa.ge/?m=military&AID=11193>